603/2 Н 13.834


# ლელო

№ 25
(11 174)

1 – 3 აპრილი, 1998 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## „შევარდენი" მძლეოსანთა ცენტრის შექმნას აპირებს

ეს ახალი ამბავი სიხარულით გვაუწყეს მძლეოსნობის სპეციალისტებმა ერთ-ერთ შეჯიბრებაზე, რომელიც თბილისში გაიმართა. პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება „შევარდენის" და მისი თავკაცის ბერდია გუგავას ძალისხმევა ქართული სპორტის ასაღორძინებლად ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ცენტრში თურმე თავს მოუყრიან პერსპექტიულ ახალგაზრდებს. იქვე (პროფკავშირების მძლეოსნურ მანეჟში) გამოუყოფენ საცხოვრებელს, მისცემენ კვებას. ჭეშმარიტად სამაგალითო თაოსნობაა.

**თანამედროვე ხუთჭიდი** | **ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირი**

## შემობრუნება საერთო ძალისხმევით

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატებს 8 თვეა არანაირ შეჯიბრებაში არ მიუღიათ მონაწილეობა. წლეულს, 21-25 აპრილს ევროპის პირად-გუნდური პირველობა ტარდება, რომლის საკვალიფიკაციო ტურნირი ამ დღეებში გაიმართა კიევში. როგორც იქნა მოხერხდა — ჩვენების გამგზავრება ამ აუცილებელ შეჯიბრებაზე და მიზანიც მიღწეულია V ადგილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველ სპორტსმენებს მოპოვებული აქვთ ევროპის პირველობის საგზური (შესარჩევ ტურნირში გამოდიოდა 12 ქვეყნის ნაკრები, საგზურებს კი 6 გუნდი იღებდა). ჩვენ გუნდში გამოდიოდნენ თბილისელი დინამოელები (სხვაგან სპორტის ეს სახეობა ჩვენში არაა დანერგილი), ესენი არიან დავით ჭულუხაძე, თემურ ბალაკარი და ნოდარ ბარავი — მწვრთნელები ამირან შეროზია და თენგიზ ჯეჯელავა, ცხენოსნობაში ნაკრებს დახმარება გაუწიეს ვიქტორ გოგლიძემ, სოსო შელიამ და იური კლიმენკომ, ფარიკაობაში — ნოდარ დიდიამ. აღსანიშნავია, რომ ჭულუხაძემ მოიგო შეჯიბრება ცურვასა და მძლეოსნურ კროსში.

ც. ბაქრაძე

**კალათბურთი** • **ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი**

## პლეი-ოფი სპორტის სასახლეში გაგრძელდება

*გასულ შაბათ-კვირას მიხეილ კეკელიძის სახელობის დარბაზში დასრულდა მეოთხედფინალური მატჩები: დინამო – შევარდენი 103:72, ვითა – ასკ 103:83, თსუ-სდასუ 67:68.*

*ნახევარფინალური სერიები 6 აპრილიდან სპორტის სასახლეში დაიწყება. ერთმანეთს შეხვდებიან აზოტი – სდასუ და დინამო – ვითა (მატჩები სამ მოგებამდე დღეგამოშვებით გაიმართება, დასაწყისი 17 და 18 საათსა და 30 წუთზე).*



### ნომერშია:

◆ განათლების სამინისტრო გაფრთხილებთ!
◆ ყოველი სპორტული წარმატება უნდა გვიხაროდეს, – წყალბურთელთა რუსეთის ღია პირველობის ფინალში გასვლამ კი ფედერაცია საგონებელში ჩააგდო...
◆ ლერი გოგოლაძე 60 წლისაა
◆ „შევარდენის" შესანიშნავი თაოსნობა
◆ იური ჯორკაეფმა სომხეთზე აზრი შეიცვალა
◆ ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტები – გერმანია. უცხოეთის ფეხბურთის სხვა ამბები
◆ ქინქლაძე წავიდა – ჩხაიძე მოვიდა
◆ საფეხბურთო აპრილის კალენდარი
◆ კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

**საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში II წრე**

## პირველი ჯგუფი XIX ტური

უნივერსიტეტი (თბილისი) — მაღაროელი (ჭიათურა) 4–0
კოლხეთი-1913 (ფოთი) — ლოკომოტივი (თბილისი) 2–0
ოდიში (ზუგდიდი) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 5–0
სიონი (ბოლნისი) — რუსთავი 2–0
ტორპედო (ქუთაისი) — სამგურალი (წყალტუბო) 2–0
მერანი-91 (თბილისი) — დინამო (თბილისი) 0–5
მარგვეთი (ზესტაფონი) — დილა (გორი) 0–0
დინამო (ბათუმი) — გურია ლანჩხუთი) 5–0

### სატურნირო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 19 | 16 | 2 | 1 | 54-7 | 45 |
| დინამო (ბთ) | 19 | 12 | 5 | 2 | 39-11 | 41 |
| ოდიში | 19 | 12 | 2 | 5 | 32-25 | 38 |
| კოლხეთი-1918 | 19 | 11 | 3 | 5 | 40-18 | 36 |
| ტორპედო | 19 | 10 | 6 | 3 | 33-16 | 36 |
| უნივერსიტეტი | 19 | 9 | 4 | 6 | 26-14 | 31 |
| მერანი-91 | 19 | 8 | 5 | 6 | 24-24 | 24 |
| ლოკომოტივი | 19 | 6 | 5 | 8 | 19-27 | 23 |
| ვიტ-ჯორჯია | 19 | 5 | 7 | 7 | 18-22 | 22 |
| სიონი | 19 | 7 | 5 | 7 | 29-22 | 21 |
| დილა | 19 | 6 | 3 | 10 | 16-26 | 21 |
| სამგურალი | 19 | 5 | 4 | 10 | 19-35 | 19 |
| რუსთავი | 19 | 6 | 0 | 13 | 16-33 | 18 |
| გურია | 19 | 3 | 6 | 10 | 20-41 | 15 |
| მაღაროელი | 19 | 3 | 2 | 14 | 14-45 | 11 |
| მარგვეთი | 19 | 1 | 5 | 13 | 13-46 | 8 |

შენიშვნა: დინამოს, მერანს და სიონს დაკლებული აქვთ 5-5 ქულა.

### „ლელოს" ფეხბურთის განყოფილების კომენტარი

დავით ყიფიანი სიტყვის კაცია – როგორ სატურნიროო მდგომარეობაშიც არ უნდა მოვხვდეთ, „დინამო" ყოველთვის უკომპრომისოდ იბრძოლებს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებშიო. მისი გამონათქვამი კიდევ ერთხელ გაგვახსენდა, როდესაც ჩემპიონი „მერანს" ეპაექრებოდა. დიახ, დინამოელთა უპირატესობა სხვა გუნდებზე იმდენად აშკარაა, ალბათ, კიდევ ერთხელ რომც დააკლონ 5 ქულა, მაინც ჩემპიონები გახდებიან.

მაშ, საქმე ძველებური სცენარით მიდის – ევროტურნირების საგზურებს გაინაწილებენ თბილისისა და ბათუმის დინამოელები, სხვა ორი სამიდან („ოდიში", „კოლხეთი-1913", „ტორპედო") შეირჩევა. ჩემპიონატში ინტრიგა, ალბათ კიდევ ის იქნება, ვინ შეემატება პირველი ჯგუფიდან გასავარდნად განწირულ „მარგვეთსა და „მაღაროელს". ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მომავალი ტურის მატჩი ლანჩხუთში „გურიასა" და „კოლხეთი-1913"-ს შორის. ფაქტობრივად ამ თამაშში გადაწყდება შეინარჩუნებს თუ არა „გურია" ადგილს პირველ ჯგუფში. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სფფ-მ დიდი დაკვირვება უნდა გამოიჩინოს ამ მატჩის მსაჯებისა და დელეგატის დანიშვნისას. და საერთოდ, ფინიშის სწორს ჩვეულებრივ იზრდება ე.წ. „ჩაწყობილი" თამაშების რაოდენობა.. ამიტომ ამ სენის საწინააღმდეგო ღონისძიებათა შემოღებაზე საგანგებოდ უნდა ვიზრუნოთ.

XX ტურის ცენტრალური მატჩი 3 აპრილს გაიმართება, როდესაც თბილისის „დინამო" აღმავლობის გზაზე მდგარ ქუთაისის „ტორპედოს" გაეჯიბრება. ასევე საინტერესო იქნება „ვიტ-ჯორჯიასა" და ბათუმის „დინამოს შეხვედრა".



*მერანი-91. – დინამო (თბ.). მარცხნიდან: ხორხელი, ალექსიძე, მესხი.*
*ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო*

### მილოცვები

საქართველოს ყველა თაობის მოჭიდავეები დაბადების დღეს ულოცავენ ლეგენდარულ ფალავანს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და პრიზიორს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის ოთხგზის ჩემპიონს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ***გივი კარტოზიას.***

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს და პრიზიორს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ***გივი კარტოზიას.***

* * *

ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ვეტერან სპორტსმენს, სპორტის ოსტატს ტანვარჯიშში ***ჯემალ კვანტალიანს.***

* * *

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავს ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის კათედრის გამგეს, პროფესორ ***ლერი გოგოლაძეს.***

* * *

საქართველოს სპორტის წყალთა სახეობების ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქცია დაბადებიდან 60 წლისთავს ულოცავენ ვეტერან წყალბურთელს, ოლიმპიური თამაშების პრიზიორს, ევროპის ჩემპიონს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს ***ლერი გოგოლაძეს.***

---

საქართველოს განათლების სამინისტრო — MINISTRY OF EDUCATION OF GEORGIA

380002, თბილისი, დ. უზნაძის ქ 52
ტელეფონი: 995 32 956395
ფაქსი: 995 32 770073

52 D. Uznadze St. Tbilisi 380002
Phone: 995 32 956395
Fax: 995 32 770073

01-17-13/360
24.03.98

აფხაზეთისა და აჭარის განათლების მინისტრებს, ქ. თბილისის მერიის განათლების მთავარი სამმართველოს უფროსს, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა (სამმართველოთა) გამგეებს

სამინისტროში შემოსული წერილებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთ რაიონში ადგილი აქვს განათლების სისტემის ბავშვთა-მოზარდთა კომპლექსური სასპორტო სკოლების ადგილობრივ სპორტკომიტეტების დაქვემდებარებაში გადაცემის მცდელობას, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს განათლების შესახებ და, შესაბამისად, დაუშვებელია.

აქვე შეგახსენებთ, რომ ქართული სპორტის შემდგომი განვითარების საქმეს, ძირითადად, სასკოლო ასაკიდან ეყრება საფუძველი. სწორედ ამ დროს ხდება მოზარდთა სპორტული ორიენტაციების ჩამოყალიბება და, შესაბამისად, სათანადო რეზერვების მომზადება ე. წ. "დიდი სპორტისათვის", რის გამოც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიური კომიტეტის ეგიდით გამართულ საერთაშორისო, ასევე რესპუბლიკურ შეჯიბრებებში 18 წლამდე ასაკის მოზარდთა მონაწილეობა და შეჯიბრებისათვის წინასწარი მზადების მთელი პროცესის ხელმძღვანელობა და მართვა თავიდან ბოლომდე მხოლოდ განათლების სამინისტროს პრეროგატივაა.

საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს ისიც, რომ ბავშვთა-მოზარდთა რაიონული და საქალაქო სასპორტო სკოლები დღესაც წარმოადგენენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის სწავლების საქმეში ხელმძღვანელობის ავტორიტეტულ ცენტრს.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გევალებათ არ დაუშვათ ბავშვთა-მოზარდთა სასპორტო სკოლების სხვა უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის გადაცემის არცერთი პრეცენდენტი.

მინისტრი [signature] თ. კვაჭანტირაძე

---

### უკანასკნელი ცნობები

● **ეს-ესაა** დავვიდასტურეს, რომ საქართველოს ხაზინას სპორტის დეპარტამენტის ყველა შარშანდელი ვალი გადაუხდია, ბიუჯეტიდან გამოყოფილი წლევანდელი ოთხი მილიონიც სრულად გადაუხდია და დამატებით ზედ 26 მილიონიც მიუყოლებია. გიხაროდენ!

● **თბილისის** მერიას და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს „ლაგუნა-ვერეს" თხოვნა გაუთვალისწინებია და ეს უნიკალური საწყლოსნო კომპლექსი ამ ბაზის შრომითი კოლექტივისთვის გადაუცია, ეროვნულ ბანკს კი 2 პროცენტიანი კრედიტი გამოუყვია ათი წლით.

● **საქართველოს** სროლის და მშვილდოსნობის ფედერაციას, იტალიის ფედერაციამ სასტენდო სროლის თანამედროვე უნიკალური ინვენტარი გამოუყო საჩუქრად, ერთ-ერთმა ქართველმა სპონსორმა — ბიზნესმენმა (ვინაობის გამხელა არ ისურვა), ეს რომ გაიგო, ჩვენს ფედერაციას პირობა მისცა, რომ გაიღებს იტალიაში მივლინებისა და ტვირთის ჩამოტანის ხარჯებს, ამასთან შეუძენს 12.500 ვაზნას.

● **არდადასტურდა** ხმები, თითქოს საქართველოს რკინიგზა საუწყებო სპორტული ბაზების გასხვისებას აპირებდეს. პირიქით, გზის უფროსის ბრძანებით „ლოკომოტივის" სტადიონი უსასყიდლოდ და უვადოდ გადაეცათ მორაგბეებს მშვიდობაში და გამარჯვებებში მოსახმარებლად.

● **დღეიდან,** 1998 წლის 1 აპრილიდან, „ლელოს" ტირაჟმა 1990 წლის დონეს მიაღწია და 256 ათასი ეგზემპლარი იბეჭდება.

### მკითხველთა კონკურსის შედეგები

„ლელომ" ბოლო ორ ნომერში ფეხბურთის მოყვარულ მკითხველს შესთავაზა სიახლე — ვინც გამოიცნობდა ეროვნულ ჩემპიონატში „მერანი-91"-ისა და თბილისის „დინამოს" კალენდარული შეხვედრის შედეგს და სათამაშო სიტუაციებს, მიიღებდა ფულად ჯილდოს. გაზეთიდან ამოჭრილი და გამოგზავნილი ბარათების შედეგების შეჯამების შედეგად გაირკვა, რომ ამჯერად გამარჯვებული ვერ გამოვლინდა, მიზანთან კი ძალზე ახლოს იყვნენ თბილისელები ზაზა ლორთქიფანიძე (ყველაფერი ამოიცნო, ოღონდ ანგარიშში მქონდა დაფიქსირებული 5-1 „დინამოს" სასარგებლოდ. შეგახსენებთ, რომ მატჩი „დინამომ" მოიგო 5-0 და ვეფხვია ჭალალონია (4-0).

კონკურსი გაგრძელდება, ადევნეთ თვალყური „ლელოს" შემდეგ ნომრებს.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს სპორტისა და ტურიზმის მინისტრის ყოფილ მოადგილეს ვაჟა მიქაბერიძეს დედის გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს" რედაქცია იზიარებს ბ-ნ ვაჟა მიქაბერიძის ღრმა მწუხარებას დედის გარდაცვალების გამო.

ქართული სპორტის საამაყო სახელები

# არასდროს შეიცვლება...

მართლაც ასეა, როცა ჩვენი ყრმობის მეგობარზე ლერი გოგოლაძეზეა საუბარი. მის ხასიათს, გვერწმუნეთ, ჩვენ უფრო მეტად ვიცნობთ, ვლაღობთ და ვამაყობთ მისით. მკითხველს კი გულწრფელად გვინდა გავაცნოთ — შევახსენოთ ბატონი ლერი გოგოლაძე — წარსულში მსოფლიო ელიტის წყალბურთელი, შემდგომში საერთაშორისო დონის მათემატიკოსი! აქვე მოკლედ ჩამოვთვლი ლერის მიღწევებს: რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი, ევროპის, საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული, ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი. ყმაწვილობაში „დაბრუნებული" იქით — წყალბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, აქეთ — უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

დილემის წინაშე ვდგავარ ამ წერილის გამო, სათაურშიაც საგანგებოდ გამოვიტანე მისი დამახასიათებელი თვისება — რაც ყმაწვილობაში იყო, კვლავ ისეთია — პრინციპული, შრომისმოყვარე, უანგარო, მოუსვენარი, ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღი და თანაც თავმდაბალი, მორიდებული, უბრალოდ, წესიერი კაცი... ამიტომაც ვამბობთ — ხასიათი არ შეცვლია და არ შეეცვლება-მეთქი... ამ წერილს, რომელსაც მისი დაბადების 60 წლისთავს ვუძღვნი, ინკოგნიტოდ ვწერ, გამორიცხული არაა გაჯავრდეს, ეწყინოს, დაიმორცხვოს... ასეთი უცნაური, უამბიციო, არაორდინარული ხასიათი ჰქონდა იმთავითვე. მაგრამ... სათქმელი უნდა ითქვას, ხალხმა გაიგოს — თუ როგორი დიდი ქართველი დააბიჯებს ჩვენს გვერდით...

თვალის ერთი გადავლებით მაინც გავეცნოთ ჩვენი დუდუს (შინაური სახელია) ლერი გოგოლაძის ცხოვრებას, თანაც შიშიც გაგვინელდება, რადგან ამ წერილის თანაავტორნი მისი თანამოაზრენი, მისი ცხოვრების ორივე ნაწილის წარმომადგენლები არიან — წყალბურთელები და მათემატიკოსები, თუნდაც, ზოგადად — სპორტსმენები, მეცნიერები, ინტელიგენტები, ქალაქელებიც და, უბრალოდ, კარგი ბიჭებიც...

მოკლედ, ძმაო ლერი! შეურიგდი იმ აზრს, რომ შენ სამოცი წლისა ხარ (ჩვენც არ გვჯერა...) და მოგვეცი საშუალება მოგეფეროთ, სიტყვა გითხრათ შენი შესაფერი — რეალური ნაღდი და არა ხელოვნური, ყალბი...

ოთხ ათეულ წელზე მეტია, რაც გიცნობთ (აუ, რამდენი დრო გასულა...) რაც იყავი, რაც ხარ და რაც იქნები ვიცით, რატომ გვიყვარხარ და გაფასებთ, ისიც ვიცით და გვინდა მკითხველმაც იცოდეს შენი ნათელი მდიდარი ბიოგრაფიის „წვრილმანი" ეპიზოდები მაინც...

ის, რაც ბატონმა ლერი გოგოლაძემ გააკეთა ცხოვრების შუადღემდე, ჩამოსათვლელად იმდენად იოლია და ლაკონური, კომუნისტურ ლოზუნგებში, რომ იყო მოწოდებებისა და აფორიზმების სახით იმას ჰგავს... (თუმცა, ის ლოზუნგები ბიბლიურ აზროვნებას ემყარებოდა, სადაც ადამიანის განსწავლულობას, შრომა — გარჯას კაცთა მოდგმის უპირველეს სამაგალითო თვისებად მიიჩნევდნენ). ზემოთ მოტანილი აზრის საილუსტრაციოდ ლერი გოგოლაძის ადრეული ცხოვრებიდან, რამდენიმე ეპიზოდს გამოვყოფთ.

1956 წელს სკოლას ფრიადებზე ამთავრებს და იქვე, პარალელურად სპორტშიაც მედლით იმშვენებს მკერდს — მოსწავლეთა სპარტაკიადაზე. იმავე წელს, სახელმწიფო უნივერსიტეტის, მაშინ ყველაზე პრესტიჟული ფაკულტეტის — მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი და თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის მეკარე ხდება. ესე იგი, დამოუკიდებლად ცხოვრების დაწყების ურთულეს გზებს, რასაც სწავლა და გარჯა ჰქვია, ჩვენი ლერი ფრიადზე ასრულებს! (ჩვენს დუდუს იუმორის დიდი გრძნობაც აქვს და მიმიხვდება თუ რა ლოზუნგებს ვგულისხმობდი...) ისე კი, ხუმრობა იქით იყოს, საწყენად ვინმე დიდმა სპორტსმენმა არ მიიღოს, მაგრამ ეს ორმაგი წარმატება რომ უნიკალურია, იშვიათია, არა მხოლოდ ჩვენდა გასახარად, არამედ, საერთოდ, ქართველ სპორტსმენთა საამაყოდ, დღევანდელი და მომავალი თაობების სამაგალითოდ ხომ დღესავით ნათელია!.

უნივერსიტეტში სწავლობს, ლექცია-სემინარებზე აქტიურობს, II კურსიდან უკვე სამეცნიერო მუშაობაში ებმება, ქვემოთ კი — სანაპიროს ცნობილ „კუპალნიაზე" აუზში თანაგუნდელები ელოდებიან, მისი იმედი აქვთ. გუნდში გარდატეხის წელია, ახალგაზრდები მოვიდნენ, მათ შორის ერთ-ერთი პირველი ლერი გოგოლაძეა (აქაც და სხვაგანაც დიდ სპორტსმენ გივი ჩიქვანაიასთან ერთად!) და... აი, პირველი დიდი წარმატებაც — 1958 წლის საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამო" პირველად ხდება ბრინჯაოს პრიზიორი. წლები მირბიან, დრო მიდის, დრო „მიცურავს" და ლერი გოგოლაძეს ახალი წარმატებებისაკენ მიაქანებენ — რომის ოლიმპიური თამაშებისაკენ, უნივერსიტეტის ასპირანტურისაკენ...



1962 წელი, მოსკოვი. ნონა გაფრინდაშვილი პირველად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მისი სიხარული ლერი გოგოლაძემ (მარჯვნივ) და ოთარ მიმინოშვილმაც გაიზიარა.

ფოტო „ლელოს" არქივიდან

შემდეგ, შემდეგ კი, დაიწყება უზარმაზარი ფიზიკური და გონებრივი დატვირთვა, რათა ახალგაზრდა მეცნიერი და ვეტერანი სპორტსმენი „ფორმაში" იყოს, დროს არ ჩამორჩეს, სიახლე და მხოლოდ სიახლე ეძიოს უმაღლესი მათემატიკის, უმაღლეს საფეხურამდე ავიდეს და იმავდროულად თავისი ქინიანი — ჯიგრიანი ხასიათი აჩვენოს გუნდის ახალგაზრდებს.

კარგ, ქართულ ტრადიციულ ოჯახში გაზრდილ ვაჟკაცს, ძვირფასი დედმამისა და დაიკოს პატრონს, არც პირადი ცხოვრება დავიწყნია... სიყვარულით შექმნა ოჯახი — მაშინ, ახლაც და მუდამ მისთვის საყვარელ მეუღლესთან, ქალბატონ ციცისთან ერთად, ქალ-ვაჟსაც მშვენიერს უზრდიან სამშობლოს და ახლა მათ დაფრთიანებას ელოდებიან...



საქართველოს ყველა დროის წყალბურთელთა საუკეთესო გუნდი. პირველ რიგში მარცხნიდან პირველი ლერი გოგოლაძე.

ფოტო „ლელოს" არქივიდან

თუმცა, დროს გავუსწარი, დროს, უფრო სწორად, მოვლენებს... დისერტაციების დაცვა (საკანდიდატო და სადოქტორო:), საკავშირო თუ საერთაშორისო სიმპოზიუმები, კონფერენციები, სესიები, პუბლიკაციები, სტუდენტ-ასპირანტებთან მუშაობა, ახალი გამოკვლევები, სამეცნიერო სემინარებისა და მეცნიერული შრომების ხელმძღვანელობა... მათემატიკაზე თავის კონკრეტულ სპეციალობაზე ფიქრი არ ასვენებს და მაინც, გუნდს მიჰყვება ევროპისა და ამერიკის კონტინენტზე. სადაც ითამაშა, ყველა ტურნირზე ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ აღიარეს! ყველაფერი ზუსტად ჰქონდა დაფიქსირებული მისებურად — „მათემატიკურად" — ბურთის მოგერიებაც, გუნდის გადარჩენაც, დროულად გამხნევებაც, შეძახილიც, წარმოიდგინეთ, თუ საჭიროა შეხლა-შემოხლაც (სპორტში ხდება ხოლმე, კარგი გაგებით...).

ფიზიკურად დაღლილი, მაგრამ ბედნიერი, უნივერსიტეტში შეაბიჯებს ბრტყელ, დიდ მხარ-ბეჭებს გადაუშლის კოლეგებს — მეგობრებს ჩაეხვევა (დაუოკებელი ენერგიით, დიდი ძალის პატრონია, მათემატიკოსების გასაგონად ვამბობ...) და თავის პროფესიულ შრომას შეუდგება — რუდუნებით, ფრთხილად, სკრუპულოზურად, თვითკრიტიკულად, სანამ ბოლომდე არ დაიხარჯება მეცნიერულ მუშაობაში, თუნდაც კამათში და, რაც მთავარია, თავისი კათედრის წარმოჩენაში, მისი პრესტიჟის ამაღლებაში... ზემოთ ხომ ვთქვი მისი უბრალოების შესახებ, კიდევ გავიმეორებ — მას პირადულზე მეტად, მუდამ მიაჩნდა და მიაჩნია კათედრის, უნივერსიტეტის, მეგობრების წარმატება... ამიტომაც აირჩიეს (უკვე ორჯერ), უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე პროფესორი ლერი გოგოლაძე უმაღლესი მათემატიკის კათედრის გამგედ.

ჩვენო ძვირფასო ძმაო ლერი! ერთი ამოსუნთქვით დაწერილი „ესე ამბავი" სრულ შთაბეჭდილებას ალბათ ვერ შეუქმნის ძვირფას მკითხველს შენს მდიდარ და მრავალფეროვან ცხოვრებაზე, მაგრამ... შენი ამბავი, რომ ვიცით, ვიკმარეთ... ხოლო, რაც შეეხება შენი ღვაწლის ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას, მომავალმა თაობებმა დააგვირგვინონ.

შენ კი, ჩვენო სინდის-ნამუსო, წინ დიდი საქმეები გაქვს წყალშიც და ხმელეთზეც, ხომ გახსოვს ძველ ბერძენთა შეგონება: „ჯანსაღ სხეულში — ჯანსაღი სულია!", სწორედ, რომ შენზეა ზედგამოჭრილი... ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევთ აქ შევჩერდეთ, ფეხზე ავდგეთ და შემოვძახოთ: „გილოცავთ დაბადების დღეს!". 1 აპრილს დაბადებულმა კაცმა 60 წელი ხუმრობად ჩათვალე, იუმორით, სიყვარულით,. სიხარულით შეცურე და შეაბიჯე XXI საუკუნეში, შემდეგ კი ვიცი, ყოველ ათწლეულში ისე იცხოვრებ, რომ ნამდვილი მწერლები შეგიქმნიან ნამდვილ ესსეებს!

ახლა კი მორიდებით მოგესალმები უნივერსიტეტელი და წყალბურთელი მეგობრების სახელით

ოთარ მიმინოშვილი

---

თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა ● გაზეთების „ლელოს" და „ბორჯომის" პრიზების გათამაშება

# ფრთები, ფრთები მიეცით მართვეებს...

ბავშვთა ტრადიციულ შეჯიბრებას გაზეთების „ლელოსა" და „ბორჯომის" პრიზებზე ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში, რომელიც 1980 წლის მარტიდან მომდინარეობს, სპონსორები არასოდეს ჰყოლია. აი, ახლა კი, ბაკურიანის პარკში ხელნაკეთ 30 და 15-მეტრიან ტრამპლინებზე გამართულ ამ ასპარეზობის გენერალური სპონსორი გახლდათ ჟორა და ლიდა გავების ფირმა „სპორტი." სპონსორები — ტურისტული ფირმა „ბაკურიანი" (დირექტორი ამირან გელაშვილი), დასასვენებელი სახლები: „გეოლოგი" (სპორტის ოსტატი ოთარ ხვედელიძე), „მწვანე ველი" (კოტე მიქაბერიძე), ვალერიან სტეფანიანის კერძო სასტუმრო, ოთარ ლეგაშვილის უნივერსალური მაღაზია „ფიფქი", ხილბოსტანვაჭრობის №3 მაღაზია (გივი კონსტანტინოვი), კაფე-ბარი „მარგალიტი" (ზინაიდა მიქაბერიძე და მარინა ჩუბკო), ქალბატონი ნანა თბილისიდან, რომელმაც გვარის გამხელა არ ისურვა, საჩუქრები კი ბლომად მოუტანა ნორჩებს.

დანატრებულმა მაყურებელმაც მრავლად მოიყარა თავი. ბაკურიანელმა „მართვეებმა" კი არც მაყურებელი გააწბილეს, არც მწვრთნელები. განსაკუთრებული მოწონება ხვდა დავით პაპიძეს, რომლის ლამაზმა ნახტომმა თვით ლეგენდარული კობა წაქაძე მოხიბლა და ამ ბიჭუნამ საგანგებო პრიზი „მფრინავი ტორპედოს" ხელიდან მიიღო. ბატონი კობა (ვისთვის კობა მასწავლებელი, ვისთვის კობა პაპა) შეჯიბრების მთავარი მსაჯი გახლდათ.

**2 1 3 კვარცხლბეკი**

***30-მეტრიანი ტრამპლინი. უფროსი ასაკი:*** 1. ოვანეს ხაჩატურიანი (32,0 და 32,5) — 154,5 ქულა. 2. მალხაზ სოტიშვილი (31,5; 32.0) — 150,5, 3. გელა ხუბაევი (28,5; 29,5) — 140,0. ***საშუალო ასაკი:*** 1. გიორგი თედიაშვილი (31,5; 30,5) — 150,5, 2. დავით პაპიძე (28,5; 32,0) — 150,5, 3. ლევან კოზანაშვილი (29,0; 30,5) — 141,5. ***15-მეტრიანი ტრამპლინი. უმცროსი ასაკი:*** 1. ვახტანგ თედიაშვილი (14,0; 14,5) — 118,5, 2. ლევან გურეშიძე (11,5; 12,0) — 107,5. 3. ნუგზარ კიკნაძე (10,5; 10,5) — 99.0.

ამ შეჯიბრებამ დაგვანახვა, რომ ბაკურიანში შეიძლება ტრადიციების აღორძინება. იქ, სადაც კობა წაქაძე ცხოვრობს, განა შეიძლება ტრამპლინიდან ხტომა დავიწყებას მიეცეს? მაგრამ არც ის შეიძლება, მწვრთნელებს წლობით არ ეძლეოდეთ ხელფასი. მაგალითად ბ. ქუმარიტაშვილმა ისიც არ იცის, რამდენია მისი გასამრჯელო, რადგან 17 (!) თვეა არ მიუღია ხელფასი. ინვენტარიც არაა საკმარისი, თორემ მონაწილენი უფრო მრავლად იქნებოდნენ. სხვათა შორის, გაზეთების „ლელოს" და „ბორჯომის" პრიზზე ასპარეზობის ჩატარებას საფუძველი 1980 წელს ჩაეყარა და 18 მხტომელი გამოვიდა სტარტზე. ამჯერადაც ზუსტად ამდენმა იასპარეზა, თანაც მაშინაც და ახლაც პრიზების გათამაშება მარტში მოეწყო. ბედნიერი დამთხვევაა, დაე, ასე იყოს.

სოფიკო ხეთაგაშვილი,
„ლელოს" საკ. კორ.,
ბაკურიანი.

**P.S. გაზეთების „ლელოს" და „ბორჯომის" რედაქციები მადლობას უხდიან ექიმს, ქალბატონ ნარგიზა მიქაბერიძეს, რომელიც უსასყიდლოდ მომსახურა შეჯიბრებას და ყველა სპონსორს, რომლებმაც არა მხოლოდ გამარჯვებულები და პრიზიორები, არამედ, თითქმის, ყველა მონაწილე წაახალისეს ძვირფასი საჩუქრებით.**

---

წყალბურთი რუსეთის ღია პირველობა

# „ძლევაი საკვირველი"

## ანუ როგორ გავიდნენ რუსეთის ღია პირველობის ფინალში საქართველოს ჭაბუკი წყალბურთელები

როგორც „ლელო" ადრე იუწყებოდა, რუსეთის ღია პირველობაში ჭაბუკ წყალბურთელთა ჩვენმა ეროვნულმა ნაკრებმა პირველ წრეში წარმატებით იასპარეზა და ჯგუფში ყველაზე მაღალი ადგილი დაიკავა. ამ დღეებში მეორე წრის შეხვედრებიც ჩატარდა და — კვლავ წარმატება — ისევ პირველი ადგილი ჯგუფში და ფინალში ასპარეზობის უფლება. ბარემ აქვე ვიტყვით, ამჯერად ქართველმა ჭაბუკებმა მოსკოვის „ბურევესტნიკ-2-ს" სძლიეს 6:4, მასპინძლებთან — ნიჟნი ნოვგოროდის გუნდთან, მწვავე პაექრობაში და მიკერძოებულ მსაჯობაში, ფრედ — 7:7 ითამაშეს, პეტერბურგის „ნადეჟდას" აჯობეს 10:3, მოსკოვის „მაიაკი" 11:6 და ვოლგოგრადელები 4:3 დაამარცხეს.

ქართული წყალბურთის ტრადიციებს აღორძინების ნიშნები დაეტყო, სწორედ ამ ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ უფროსებისგან ესტაფეტა, მაგრამ სავალალო ისაა, რომ კაცმა არ იცის, ცხოვრების სიდუხჭირე ანუ უსახსრობა როდის ჩახერგავს აღმავლობისკენ მიმავალ გზას. პირველ წრეში ნასესხები ფულით გაემგზავრა გუნდი რუსეთში, ამჯერად კი ფედერაციამ (პრეზიდენტი ვლადიმერ გოიაშვილი), როგორც იქნა, მოახერხა დაფინანსების მიღება ბიუჯეტიდან, ძველი ვალი კი (სხვათა შორის, პროცენტიანი) ისევ ვალად რჩება. ფინალში ჩვენი გუნდის გასვლის სიხარული მაინც ნაღვლიანია, რადგან ჯერ კიდევ არავინ იცის გამოინახება თუ არა გასამგზავრებელი [illegible]ხები, არადა, თუ არ გამოინახა, ამდენი შრომა მართლაც წყალს გაჰყვება, ახალი შემობრუნება კი ეროვნული წყალბურთის სასიკეთოდ, როდის დაიწყება, ძნელი განსაჭვრეტია.

ნიჟნი ნოვგოროდში ჩვენების გამოსვლის ვიდეოჩანაწერი (ვიდეოკამერა ყოფილ წყალბურთელს, ფირმა „იტერას" პრეზიდენტს უჩუქებია გუნდისთვის) ფირზე ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ სოსო მაისურაძის (უფროსი მწვრთნელი), გიორგი დოლიძისა და ჯონდო მაჭარაშვილის აღსაზრდელები შესანიშნავად თამაშობენ, მოვისმინეთ წყალბურთის ისეთი აღიარებული სპეციალისტების შეფასებები, როგორებიც არიან ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრე დრევალი, მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მეკარე ევგენი შარუნოვი. მათი აზრით, ჩვენში წყალბურთი ფერფლიდან აღმდგარა, შენარჩუნებულია თამაშის ქართული სტილი, ეს ბიჭები კი ევროპის ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდნენო. ისე, თვალი უკვე დაუდგიათ ჩვენებისთვის — ვოლგოგრადელები მზად არიან ნებისმიერი რაოდენობის მოთამაშეები წაიყვანონ თავიანთ გუნდში. სპეციალისტები ქართველების სათამაშო დისციპლინით და წესიერებითაც მოხიბლულან.

— ცუდ დღეში ვართ, უსახსრობას უწყლობაც ემატება. „ლაგუნა — ვერე" რომ არ გვიმართავდეს ხელს, მთლად მშრალზე დავრჩებოდით. მადლობა ამისთვის ხელმძღვანელებსაც და თანამშრომლებსაც. სპარინგ-პარტნიორობას კი ეროვნული ნაკრები (მწვრთნელები გელა ტუკვაძე, თენგიზ ივანიშვილი, ნოდარ ჩოლარია) არ გვამადლის — ამბობს სოსო მაისურაძე.

ფედერაცია ყველაფერს აკეთებს, რომ ჭაბუკებმა ოსტატობა აიმაღლონ და საშეჯიბრო გამოცდილება მიიღონ. ჩვენს ფედერაციას მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია თურქეთის ფედერაციასთან და მათი ხელშეწყობით ორჯერ მიუწვევიათ ეს გუნდი საერთაშორისო ტურნირზე თავიანთ ხარჯზე (მგზავრობის გარდა). სამხრეთელ მეზობლებს ძირითადი ეროვნული ნაკრებისთვისაც გამოუწვდიათ დახმარების ხელი — ევროპის შესარჩევი ტურნირის წინ (სლოვენია) ჩვენები თურქეთის საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ იგივე პირობებით.

დავუბრუნდეთ ჭაბუკთა ნაკრებს. გუნდში ძირითადად სახელმწიფო უნივერსიტეტის აღსაზრდელები არიან, ერთი კი „მართვედან" აუყვანიათ, ერთიც — „შევარდენიდან". გაოცებას იწვევს განათლების სპორტსკოლის ინერტულობა. ამ სისტემაში 30 აუზიდან ერთიც არ მუშაობს, წყალბურთის სპორტსკოლა კი რუსეთის ჯარის სპორტულ კომპლექსშია შეხიზნული იჯარით.

ახლა იმათაც გაგაცნობთ, ვინც თავი გამოიჩინა ნიჟნი ნოვგოროდში: ***მეკარეები*** — გიორგი მაისურაძე და ვახტანგ ტუკვაძე; ***მცველები:*** გიგა მაზიაშვილი, ლევან მაძულაშვილი, ირაკლი ცინცაძე, ვანო გოშაძე; ***შუა ხაზი:*** ირაკლი დოკვაძე, შოთა ტატიშვილი, ვლადიმერ ბაიბურთიანი, ბაგრატ ბატატუნაშვილი; ***თავდამსხმელები:*** მიხეილ ოგანეზოვი, რეზო გიორგაძე, პაპუნა ჯაფარიძე.

მიხეილ წუწუნავა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქართველოს IX ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
II წრე

# პირველი ჯგუფი XIX ტური

## რას ელოდა „დინამო“ „მერანს“?

**მერანი-91 (თბილისი) — დინამო (თბილისი) 0–5**

***მერანი:*** ნაჭყებია, ივანიშვილი (ჰინჭარაული, 65), ალადაშვილი, გოგიტაძე, ბუხრიკიძე, აბაზაძე (ჩიგოშვილი, 65), კაპანაძე, ინიაშვილი, ხორხელი, მაზანაშვილი, მესხი (დავითაშვილი, 65).
***დინამო:*** ჭანტურია, ლობჟანიძე, გუჩუა, დიდავა, ცქიტიშვილი, ბურდული (ჭელაძე, 56), კიკნაძე, ალექსიძე, აშვეთია (სახვაძე, 72), მუჯირი, ხომერიკი (პეტრიაშვილი, 62).
***გოლი:*** აშვეთია (28, 52), ხომერიკი (55), პეტრიაშვილი (71), მუჯირი (78).
***გააფრთხილეს:*** გუჩუა.
***მსაჯი:*** მერაბ მალაღურაძე (თბილისი).

დღევანდელი „მერანისგან“ დინამოელებზე გამარჯვებას ცოტა თუ ელოდა, მაგრამ ვერც ასეთი ანგარიში გახლდათ ადვილი წარმოსადგენი. ჯონი ჯანელიძის გუნდმა ამჯერად ვერაფერი გააწყო მრისხანე მეტოქესთან, რომელიც ისე გახლდათ შემართული, თითქოს ასტრონომიული ანგარიშით მოგებით რაიმე დიადსა და განუმეორებელ ტრაფეის უმიზნებდა. მერანელთა განადგურება მას შემდეგ დაიწყო, როცა სტუმრების კონტრშეტევისას ალექსიძის მიერ კარის გასწვრივ გაგზავნილი ბურთის დამორჩილება ნაჭყებიამ ვერ შეძლო და აშვეთიამ ცარიელი კარის დალაშქვრით ორამდე გაზარდა თავისი გუნდის უპირატესობა. ამან „მერანი“ მთლიანად მოშალა, ხოლო დინამოელებზე კი ძლიერალმგზნები დოპინგივით იმოქმედა, რომელთა დაოკება ვერც წვიმამ და ვერც სეტყვამ ვერ შეძლო.

მეორე გოლის გაშვებამდე „მერანი“ საკმაოდ ორგანიზებულად და მობილურად მოქმედებდა. შიგადაშიგ მწვავე შეტევებსაც ახერხებდა. იყო მომენტი, როცა მასპინძლები ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ და რამდენიმე წუთით შტურმისმაგვარიც კი მოუწყვეს „დინამოს“, მაგრამ მერანელებს გადამწყვეტ ფაზაში ცალკეული ფეხბურთელების გამოუცდელობა ღალატობდა — „ახალი სისხლი“ ერთის მხრივ კარგია, მაგრამ გვენცაძისა და დავითაშვილის (ეს ფორვარდი ჯანელიძემ „მერანის“ „გაშეშების“ მერე შემოიყვანა) არყოფნამ თავისი, მეტად უარყოფითი როლი ნაღდად შეასრულა, ისევე როგორც ცალკეული მოთამაშეების უხეშმა შეცდომებმა. რაც შეეხება მწვრთნელს... პანაცეა ფეხბურთში არ არსებობს.

დათო თავართქილაძე

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები

**სიონი (ბოლნისი) — რუსთავი 2-0**
***სიონი:*** დალაქიშვილი (ბიწაძე), გ. ჩომახიძე, შაკიაშვილი, დ. ბერიძე, მ. გოგოლაძე (ზ. ფოფხაძე), მ. სამხარაძე, ტარტარაშვილი, ჯაფარიძე (ჯაგიდისი), ჯ. წიკლაური, ტყავაძე, ლ. გაგუა.
***რუსთავი:*** მ. ქორიძე, მენთეშაშვილი, ზ. გვაზავა, კუდინოვი, პავლიაშვილი, (მიქაძე), ჭიაბრიშვილი (ზირაქაძე), ცომაია, მ. სახვაძე, ბოკერია, ყიფიანი, კ. ალადაშვილი (მელაძე).
***გოლები:*** სამხარაძე (41), ჯაგიდისი (68).
***გააფრთხილეს:*** ბოკერია, სამხარაძე, ალადაშვილი, პავლიაშვილი.
***მსაჯი:*** ოთარ გუნთაძე (ლანჩხუთი).

**კოლხეთი-1913 (ფოთი) — ლოკომოტივი (თბილისი) 2-0**
***კოლხეთი:*** ქვაჩახია, ქუტიძე (სუხიაშვილი), ტორჩინავა, გიორგაძე, გიორგობიანი, ღაღანიძე, ნოზაძე (გოროზია), დ. მახარაძე, ე. გვასალია (კრასოვსკი), ჩხენკელი, მ. ქობულაძე.
***ლოკომოტივი:*** ვოლკოვი, ქველაძე (ყორყიკაშვილი), ერაძე (ვ. გაგუა), ბარნოვი, ზ. არჩვაძე, ქვარცხავა, გ. კვეტენაძე, ყაველაშვილი, ხუციშვილი (ი. ხუჯაძე), გოდერძიშვილი, დათუაძე.
***გოლები:*** ღაღანიძე (6), ნოზაძე (63, პენ.)
***გააფრთხილეს:*** გოდერძიშვილი, ბარნოვი, ქობულაძე
***მსაჯი:*** თამაზ ლაცაბიძე (სურამი)

**უნივერსიტეტი (თბილისი) — მაღაროელი (ჭიათურა) 4-0**
***თსუ:*** ბათიაშვილი, ყოლბაია (როსტიაშვილი), კვიტატიანი (ცხადაძე), ვერემჩუკი, კობიაშვილი, შალამბერიძე, გემეზაშვილი, რუსია, გ. გვაზავა (ქორიძე), ხარებავა, მაზიაშვილი.
***მაღაროელი:*** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ბიწაძე, გაბრიჭიძე (ჩიკვილაძე), აბრამიშვილი, მელუა, ბუიშვილი, შეყლაშვილი, კავთელაძე, მწყერაშვილი.
***გოლები:*** მაზიაშვილი (11), რუსია (18, 75), გვაზავა (50).
***მსაჯი:*** თამაზ ლორთქიფანიძე (თბილისი)

**მარგვეთი (ზესტაფონი) — დილა (გორი) 0-0**
***მარგვეთი:*** ნიქაბერიძე, კაკაბაძე, გურიელიძე, ჟვანია, ღონღაძე, კაციაშვილი, სულაკაძე (მალაღურაძე) გაბრიჭიძე, მუმლაძე (თხელიძე), მაღრაძე, შავგულიძე (ქურციკიძე).
***დილა:*** გრ. ჭანტურია, ბალაშვილი, ხაჭაპურიძე (კაიდარაშვილი), ლომიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი, ხოხობაშვილი (რევაზიშვილი), მარლიშვილი, ხორგუაშვილი (შატაკიშვილი), ჩიტაია.
***გააფრთხილეს:*** ქურციკიძე
***მსაჯი:*** თამაზ ლაცაბიძე (სურამი)

**ტორპედო (ქუთაისი) — სამგურალი (წყალტუბო) 2-0**
***ტორპედო:*** ასლანაძე, ვაჩიბერაძე (კ. მეტრეველი), ჩხაბერიძე, ი. ვაშაკიძე, მალაკელიძე, შეყრილაძე (თურმანიძე), კ. კვეტენაძე, შ. ხუჯაძე, ჯანაშია (ჩხეტიანი), მეგრელაძე, ჩხაიძე.
***სამგურალი:*** ბობოხიძე, გ. ჯანელიძე, გ. თევზაძე, კოღუაშვილი (დარსაძე), ჭელიძე, მახვილაძე (თევდორაძე), ზ. ქუთათელაძე, ფხაკაძე, ი. ხაჭაპურიძე, მოსიკაშვილი (ფილიპაშვილი), ჯავახაძე.
***გოლები:*** ვაჩიბერაძე (30), მეგრელაძე (49).
***გააფრთხილეს:*** ფხაკაძე, ქუთათელაძე.
***მსაჯი:*** თემურ მაჭარაძე (ხონი).

**დინამო (ბათუმი) — გურია (ლანჩხუთი) 5-0**
***დინამო:*** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, გ. შეყილაძე, თორღაშვილი (ღლონტი), მ. მახარაძე, სოლოღაშვილი (მჟავანაძე), მაჭუტაძე, მაქაცარია, აფხაზავა (რომანაძე).
***გურია:*** ვარდანიძე, ღურწკაია, კ. კვეკვესკირი, კუკულაძე, ჯაშიაშვილი, (ზ. კვეკვესკირი), ხოსროშვილი (გოგიჩაიშვილი), ქიქავა, განევი, ჩხეტია, ჯ. ბერიძე, ბუკია.
***გოლები:*** მაჭუტაძე (1, 28), მინდაძე (23), ღლონტი (58, 86).
***გააძევეს:*** ბერიძე (45)
***მსაჯი:*** ელგუჯა სილაგავა (თბილისი)

**ოდიში (ზუგდიდი) — ვიტ-ჯორჯია (თბილისი) 5-0**
***ოდიში:*** სოლოღაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ტყემალაძე, ებრალიძე (ჭედია), ჩადუნელი (დათუაშვილი), ენდელაძე, გლუნჩაძე, ქოიავა (ისიანი), კალანდაძე.
***ვიტ-ჯორჯია:*** ჯანელიძე, ილურიძე, მაისურაძე, ჭოხონელიძე, ბურდული (არჩვაძე), დვალიშვილი, ქუთათელაძე, ნადირაძე (გუგუშვილი), ალავიძე, ჭუმბურიძე, გოჩაშვილი.
***გოლები:*** გლუნჩაძე (20, 56), ჩადუნელი (39), კალანდაძე (78), ლურსმანაშვილი (88).
***გააფრთხილეს:*** ნადირაძე, ჩადუნელი
***მსაჯი:*** გურამ ასკარ-ოღლი (ქარელი)

### ბომბარდირები

**ლევან ხომერიკი (დინამო, თბ.) — 14**
**პაატა მაჭუტაძე (დინამო, ბთ.) — 12**
**დავით მუჯირი (დინამო, თბ.) — 12**
**ჭუმბერ კალანდაძე (ოდიში) — 11**
**გია მეგრელაძე (ტორპედო) — 11.**

## ქართული ფეხბურთის ამბები

### კენჭისყრა ძველი სცენარით?

2 აპრილს, 13 საათზე, ფეხბურთის ფედერაციაში თასის გათამაშების ნახევარფინალის კენჭისყრაა, თუმცა, ბოროტი ენები ამთავითვე ამტკიცებენ, რომ ეს პროცედურა ფორმალობად იქცევა — თბილისისა და ბათუმის დინამოელებს ფინალამდე ერთმანეთს არ შეახვედრებენ, საკითხავი მხოლოდ ისაა, ვის რა ლუკმას შეახვედრებენ — თსუ-ს თუ „დილას“.

### გუცაევი თავს ნამდვილად გაიმართლებს

საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უკვე ამ შემოდგომით, სექტემბერში ჩაერთვება, ცხადია, ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის უკეთ მომზადების მიზნით, გუნდმა რაც შეიძლება მეტი ამხანაგური მატჩი უნდა გამართოს. ამ მხრივ კი სანუგეშო მდგომარეობა ნამდვილად არაა — მალტის ტურნირზე მეორეხარისხოვან გუნდებთან ჩატარებული თამაშები, რომელსაც 30 მაისს გასამართი საქართველო — რუსეთის და 12 აგვისტოს აზერბაიჯანი — საქართველოს შეხვედრები დაემატება. დაგვეთანხმებით, ასეთი დონის გუნდებთან ჭიდილი ჩვენთვის მაინცდამაინც დიდ სარგებელს არ მოიტანს და თუ, ღმერთმა არა ქნას, შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრები წარუმატებლად გამოვა, მის თავკაცს ვლადიმერ გუცაევს თავის გასამართლებელი ნამდვილად ექნება — ფედერაციამ ვერ უზრუნველყო გუნდი ამხანაგური მატჩებით.

საკითხავია, რამ გამოიწვია ასეთი შედეგი? სფფ-ს ხომ გააჩნია ნაკრებების კომიტეტი, რომლის პირდაპირი მოვალეობაა წინდაწინ იზრუნოს სპარინგ-პარტნიორების შესარჩევად. გვახსოვს, 1996-ში, როდესაც საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისათვის ემზადებოდა, სფფ მოელაპარაკა კვიპროსის, რუმინეთის, საბერძნეთის და ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაციებს — ამხანაგურებს ჯერ თქვენთან ვითამაშებთ, ორი წლის შემდეგ კი საპასუხო ვიზიტით ჩვენთან ჩამოდით. სამწუხაროდ, ოთხივე ქვეყანამ პირობა დაარღვია. ეტყობა, სფფ-მ სათანადოდ ვერ იმუშავა ამ საკითხების გადასაწყვეტად. თუმცა, სჯობს, ფედერაციამ თვითონ გვიპასუხოს ამის შესახებ.

## «ლელოს» საფეხბურთო ანონსი ● აპრილი

### მეორე წრე

#### პირველი ჯგუფი

***XX ტური, 1.IV, ოთხშაბათი***
ლოკომოტივი — თსუ
***2.IV, ხუთშაბათი***
ვიტ-ჯორჯია — დინამო (ბთ.)
რუსთავი — მარგვეთი
დილა — მერანი-91
სამგურალი — ოდიში
გურია — კოლხეთი-1913
მაღაროელი — სიონი
***3.IV, პარასკევი***
დინამო (თბ.) — ტორპედო

***XXI ტური, 6.IV, ორშაბათი***
სიონი — ლოკომოტივი
დინამო (ბთ.) — სამგურალი
კოლხეთი-1913 — ვიტ-ჯორჯია
მაღაროელი — რუსთავი
თსუ — გურია
***7.IV, სამშაბათი***
ოდიში — დინამო (თბ.)
ტორპედო — დილა
მერანი-91 — მარგვეთი

***XXII ტური, 10.IV, პარასკევი***
ვიტ-ჯორჯია — თსუ
***11.IV, შაბათი***
გურია — სიონი
რუსთავი — მერანი-91
მარგვეთი — ტორპედო
დილა — ოდიში
დინამო (თბ.) — დინამო (ბთ.)
სამგურალი — კოლხეთი-1913

***12.IV, კვირა***
ლოკომოტივი — მაღაროელი

***14.IV, სამშაბათი***
თასის 1/2 ფინალის პირველი მატჩები

***XXIII ტური, 16.IV, ხუთშაბათი***
ლოკომოტივი — რუსთავი
***17.IV, პარასკევი***
სიონი — ვიტ-ჯორჯია
ტორპედო — მერანი-91
მაღაროელი — გურია
თსუ — სამგურალი
კოლხეთი-1913 — დინამო (თბ.)
დინამო (ბთ.) — დილა
ოდიში — მარგვეთი

***XXIV ტური, 22.IV, ოთხშაბათი***
გურია — ლოკომოტივი
მეტალურგი — ტორპედო
მარგვეთი — დინამო (ბთ.)
დილა — კოლხეთი-1913
დინამო (თბ.) — თსუ
სამგურალი — სიონი
***23.IV, ხუთშაბათი***
ვიტ-ჯორჯია — მაღაროელი
***24.IV, პარასკევი***
მერანი-91 — ოდიში

***26.IV, კვირა***
თასის 1/2 ფინალის განმეორებითი მატჩები

***XXV ტური, 28.IV, სამშაბათი***
ლოკომოტივი — ვიტ-ჯორჯია
გურია — რუსთავი

***29.IV, ოთხშაბათი***
დინამო (ბთ.) — მერანი-91
მაღაროელი — სამგურალი
სიონი — დინამო (თბ.)
თსუ — დილა
კოლხეთი-1913 — მარგვეთი
ოდიში — ტორპედო

#### მეორე ჯგუფი

***XX ტური, 3.IV, პარასკევი***
სამეგრელო — მეშახტე
ივერია — ცხინვალი
იბერია (ს.) — მერცხალი
კოდაკო — ასკ
იბერია (ქ.) — შსს აკადემია
ფაზისი — კოლხეთი
თორი — საპოვნელა
იმერეთი — სქური

***XXI ტური, 7.IV, სამშაბათი***
თორი — სამეგრელო
საპოვნელა — ფაზისი
კოლხეთი — იბერია (ქ.)
შსს აკადემია — იმერეთი
სქური — კოდაკო
ასკ — იბერია (ს.)
მერცხალი — ივერია
ცხინვალი — მეშახტე

***XXII ტური, 12.IV, კვირა***
სამეგრელო — ცხინვალი
მეშახტე — მერცხალი
ივერია — ასკ
იბერია (ს.) — სქური
კოდაკო — შსს აკადემია
იმერეთი — კოლხეთი
იბერია (ქ.) — საპოვნელა
ფაზისი — თორი

***XXIII ტური, 18.IV, შაბათი***
ფაზისი — სამეგრელო
თორი — იბერია (ქ.)
კოლხეთი-1913 — კოდაკო
საპოვნელა — იმერეთი
შსს აკადემია — იბერია (ს.)
სქური — ივერია
ასკ — მეშახტე
მერცხალი — ცხინვალი

***XXIV ტური, 23.IV, ხუთშაბათი***
სამეგრელო — მერცხალი
ცხინვალი — ასკ
მეშახტე — სქური
ივერია — შსს აკადემია
იბერია (ს.) — კოლხეთი
იბერია (ქ.) — ფაზისი
იმერეთი — თორი
კოდაკო — საპოვნელა

***XXV ტური, 27.IV, ორშაბათი***
იბერია (ქ.) — სამეგრელო
ფაზისი — იმერეთი
ასკ — მერცხალი
თორი — კოდაკო
საპოვნელა — იბერია (ს.)
კოლხეთი — ივერია
შსს აკადემია — მეშახტე
სქური — ცხინვალი

#### მესამე ჯგუფი

**დასავლეთი ზონა**

***XIII ტური, 5.IV, კვირა***
ტორპედო-2 — სულორი
ოდიში-2 — დინამო (გ.)
სამგურალი-2 — ენგური
ეგრისი — სალხინო
დინამო-2 — ოქროს საწმისი

***XIV ტური, 13.IV, ორშაბათი***
სალხინო — დინამო-2
ოქროს საწმისი — სამგურალი
ენგური — ოდიში-2
დინამო (გ.) — ტორპედო-2
სულორი — შუქურა

***XV ტური, 21.IV, სამშაბათი***
შუქურა — დინამო გ.
ტორპედო-2 — ენგური
ოდიში-2 — ოქროს საწმისი
სამგურალი-2 — სალხინო
დინამო-2 — ეგრისი

***XVI ტური, 28.IV, სამშაბათი***
ეგრისი — სამგურალი-2
სალხინო — ოდიში-2
ოქროს საწმისი — ტორპედო-2
ენგური — შუქურა
დინამო გ. — სულორი

**ცენტრალური ზონა**

***XI ტური, 5.IV, კვირა***
მრეტები — ვარძია
ბაია-ქასჯი-ჯიქები — ლოკომოტ.-2
ჟინერი — დილა-2
მესხეთი — 35-სტუ
დინამო-2 — თსუ-არმაზი

***XII ტური, 13.IV, ორშაბათი***
ვარძია — დინამო-2
თსუ-არმაზი — მესხეთი
35-სტუ — ჟინერი
დილა-2 — ბაია-ქასჯი-ჯიქები
ლოკომოტივი-2 — მრეტები

***XIII ტური, 21.IV, სამშაბათი***
ლოკომოტივი-2 — ვარძია
მრეტები — დილა-2
ბაია-ქასჯი-ჯიქები — 35-სტუ
ჟინერი — თსუ-არმაზი
მესხეთი — დინამო-2

***XIV ტური, 27.IV, ორშაბათი***
დილა-2 — ლოკომოტივი-2
***28.IV, სამშაბათი***
ვარძია — მესხეთი
დინამო-2 — ჟინერი
35-სტუ — მრეტები
ბაია-ქასჯი-ჯიქები — თსუ-არმაზი

**აღმოსავლეთი ზონა**

***XI ტური, 5.IV, კვირა***
შირაქი — იბერია
სამგური — ჭაბუკიანი
ალაზანი — ალგეთი
ყვარელი — თელეთი

***XII ტური, 13.IV, ორშაბათი***
თელეთი — ალაზანი
ალგეთი — სამგორი
ჭაბუკიანი — შირაქი
იბერია — ხალიბი-97

***XIII ტური, 21.IV, სამშაბათი***
ხალიბი-97 — ჭაბუკიანი
შირაქი — ალგეთი
სამგორი — თელეთი
ალაზანი — ყვარელი

***XIV ტური, 28.IV, სამშაბათი***
ყვარელი — სამგორი
თელეთი — შირაქი
ჭაბუკიანი — იბერია

***29.IV, ოთხშაბათი***
ალგეთი — ხალიბი-97

#### ევროპის საკლუბო ტურნირები

ნახევარფინალები

***ჩემპიონთა ლიგა, 1 და 15 აპრილი***
იუვენტუსი (იტალია) — მონაკო (საფრანგეთი)
რეალი (ესპანეთი) — დორტმუნდი (გერმანია)

***უეფას თასი, 14 აპრილი***
სპარტაკი (რუსეთი) — ინტერი (იტალია)
ლაციო (იტალია) — ატლეტიკო (ესპანეთი)

***თასების მფლობელთა თასი, 2 და 16 აპრილი***
ვიჩენცა (იტალია) — ჩელსი (ინგლისი)
შტუტგარტი (გერმანია) — ლოკომოტივი (რუსეთი)

## მეორე ჯგუფი ● XIX ტური

**მერცხალი — კოდაკო 0-1, მეშახტე — ივერია 3-2, ცხინვალი — იბერია (ს.) 0-0, ასკ — იმერეთი 6-0, სქური — იბერია (ქ.) 0-0, შსს აკადემია — ფაზისი 2-0, კოლხეთი — თორი 5-0**

### სატურნირო ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 19 | 17 | 2 | 0 | 69-12 | 53 |
| იბერია (ს.) | 19 | 13 | 4 | 2 | 43-15 | 43 |
| კოლხეთი | 19 | 13 | 2 | 4 | 46-28 | 41 |
| ივერია | 19 | 12 | 3 | 4 | 49-21 | 39 |
| ცხინვალი | 19 | 11 | 2 | 6 | 48-24 | 34 |
| აკადემია | 19 | 11 | 4 | 4 | 51-20 | 32 |
| მერცხალი | 19 | 10 | 1 | 8 | 33-30 | 31 |
| სქური | 19 | 9 | 2 | 8 | 30-40 | 29 |
| თორი | 19 | 8 | 3 | 8 | 36-36 | 27 |
| ფაზისი | 19 | 8 | 1 | 10 | 31-36 | 25 |
| მეშახტე | 19 | 7 | 2 | 10 | 33-32 | 23 |
| სამეგრელო | 18 | 4 | 3 | 11 | 21-45 | 15 |
| კოდაკო | 19 | 4 | 2 | 13 | 16-42 | 14 |
| იმერეთი | 19 | 2 | 1 | 16 | 21-76 | 7 |
| იბერია (ქ.) | 19 | 3 | 2 | 14 | 21-49 | 6 |
| საპოვნელა | 18 | 2 | 0 | 16 | 20-64 | 6 |

## „ლოკომოტივს“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს

**მაშ ასე, ამ სეზონში გადადგა პირველი ჯგუფის რიგით მეექვსე თავკაცი. ამჯერად ლაპარაკია თბილისის „ლოკომოტივის“ საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტ რობიზონ ქინქლაძეზე**

ბოლო წლებში გუნდის აღორძინება სწორედ მის სახელს უკავშირდება. „ქუჩიდან“ აყვანილი ბიჭებით „ლოკომოტივმა“ მეორე ჯგუფის ისეთი გამოცდილი კოლექტივები ჩამოიტოვა, როგორებიცაა „შსს აკადემია“, ასკ, „მეშახტე“, „მერცხალი“ და პირველი ჯგუფის საგზური მოიპოვა. რკინიგზის დეპარტამენტის დახმარებით ქინქლაძემ ორი წელი ღირსეულად გასწია კლუბის პრეზიდენტის ჰაპანი.

ახლა კი, შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, თავად უპატრონოს „ლოკომოტივს“ და ქინქლაძეც თანამდებობიდან გადადგა. როგორც შევიტყვეთ, ამიერიდან კლუბის ერთპიროვნულ მეპატრონედ და პრეზიდენტად რკინიგზის დეპარტამენტის თავკაცი აკაკი ჩხაიძე იქნება. შესაძლოა, მის ხელში „ლოკომოტივი“ უფრო გაძლიერდეს, ვინაიდან საყოველთაოდაა ცნობილი ბატონი აკაკის სიყვარული ფეხბურთისადმი (სხვათა შორის, ყმაწვილკაცობაში იგი ფეხბურთს ურიგოდ არ თამაშობდა, მისი მწვრთნელი დავით ყიფიანის, შოთა ჭეიშვილის, ვლადიმერ პანოვისა და სხვა ოსტატთა გამომზრდელი ბორის ჭელიძე იყო).

FRANCE 98
COUPE DU MONDE

# მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტები

# გერმანია

## წარსულის შეცდომების გათვალისწინებით

გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატების ხშირი და საინტერესო მონაწილე იყო. მართალია, იგი 1930 წელს ურუგვაიში არ თამაშობდა, მაგრამ უკვე 1934 წელს იტალიაში ჩინებულად გამოვიდა. აქ იგი ნახევარფინალამდე მივიდა, სადაც წააგო – 1-3 ჩეხოსლოვაკიის ძლიერ გუნდთან. შემდეგ მესამე ადგილისათვის მატჩში, რომელიც ნეაპოლში გაიმართა, ფიზიკურად უკეთესად მომზადებულმა გერმანელებმა მოუგეს 3-2 „ვენის ვუნდერტიმს", ბრწყინვალე ტექნიკის მქონე ავსტრიელებს. ამ ჩემპიონატის შედეგების მიხედვით გერმანელი თავდამსხმელი ერნსტ ლეჰნერი მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში მოხვდა.

შედარებით უფერული იყო გერმანელების გამოსვლა მსოფლიოს მესამე ჩემპიონატში, როცა იგი მერვედფინალში საკმაოდ მოულოდნელად დამარცხდა – 2-4 შვეიცარიელებთან.


ბერტი ფოგთსი

1949 წელს დაარსდა გერმანიის ფეხბურთელთა კავშირი (დოიჩერ ფუსბალ-ბუნდ), რომელიც 1950 წელს ფიფას, ხოლო 1954 წელს უეფას წევრი გახდა. 1950 წელს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ბრაზილიაში გაიმართა, მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ 1954 წელს შვეიცარიაში, ფინალში უნგრეთის „დიდი გუნდის" გარკვეულწილად სენსაციური დამარცხების – 3-2 შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამჯერად მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში მოხვდნენ მცველი ვერნერ ლიბრიხი და თავდამსხმელი ფრიც ვალტერი. ამ დიდი მიღწევის შემდეგ, რა თქმა უნდა, უფერულად ჩაითვალა გფრ-ს ნაკრების გამოსვლა მსოფლიოს მეექვსე ჩემპიონატში, თუმცა გუნდი აქაც ნახევარფინალამდე მივიდა – 1-3 შვედებთან. აი, რაც შეეხება მესამე ადგილისათვის გამართულ მატჩს, აქ კი გერმანელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს იმხანად ბრწყინვალედ მოთამაშე ფრანგებს – 3-6. მეშვიდე ჩემპიონატში ჩილეში გფრ-ის ნაკრები მეოთხედფინალამდე მივიდა, სადაც წააგო იუგოსლავიელებთან. ამჯერად მსოფლიოს ნაკრებში მოხვდა მცველი კარლ-ჰაინც შნელინგერი.

1966 წლიდან მოყოლებული გფრ-ის ნაკრებს უკვე მეტად სტაბილური შედეგები ჰქონდა. 1966 წელს ინგლისში გერმანელებმა მეოთხედფინალში სძლიეს ურუგვაელებს – 4-0 (გოლები გაიტანეს ჰალერმა, ბეკენბაუერმა, ზეელერმა და ჰელდმა), ნახევარფინალში – საბჭოთა ნაკრებს ანგარიშით 2-1 (გოლების ავტორები იყვნენ ჰალერი და ბეკენბაუერი, საბჭოთა ნაკრებიდან – პარკუიანი). ფინალში გერმანელები დამატებით დროში დამარცხდნენ – 2-4 ინგლისელებთან. თუმცა აღინიშნა მეტად საეჭვო მსაჯობაც. მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში ამჯერად მოხვდნენ მცველი ვილი შულცი და სრულიად ახალგაზრდა ფრანც ბეკენბაუერი. 1970-მა წელმა გერმანელებს უკვე მესამე ადგილი მოუტანა. წინასწარ ჯგუფში სამი დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მათ მეოთხედფინალში სძლიეს ინგლისელებს – 3-2, მაგრამ შემდეგ დამატებით დროში წააგეს იტალიელებთან – 3-4. მესამე ადგილისათვის დამატებით მატჩში ვოლფგანგ ოვერატის მიერ გატანილი ერთადერთი გოლის წყალობით გფრ-ის ნაკრებმა დაამარცხა ურუგვაელები. მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში ამჯერად შეიყვანეს იგივე ფრანც ბეკენბაუერი, აგრეთვე ვოლფგანგ ოვერატი და დიდებული სნაიპერი გერდ მიულერი.


მარიო ბასლერი

მსოფლიოს მეათე ჩემპიონატი გფრ-ის ნაკრების ტრიუმფით დამთავრდა. ფინალში ჰოლანდიის ნაკრების დამარცხებით – 2-1 (გოლები გაიტანეს პაულ ბრაიტნერმა და გერდ მიულერმა, ჰოლანდიელებიდან – იოჰან ნეესკენსმა) გფრ-ის ნაკრები მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში ზედიზედ მესამედ (!) მოხვდა ბეკენბაუერი, აგრეთვე ბერტი ფოგთსი და ული ჰიონესი. მართალია, მსოფლიოს მეთერთმეტე ჩემპიონატმა გფრ-ის ნაკრებს კარგი არაფერი მოუტანა – იგი ამჯერად წარუმატებლად გამოვიდა ნახევარფინალურ ჯგუფში, მაგრამ 1982 და 1986 წლებში გერმანელები მსოფლიო ჩემპიონატებში მეორე ადგილზე გავიდნენ. პირველ შემთხვევაში მათ ფინალში წააგეს – 1-3 იტალიელებთან, მეორეჯერ კი – 2-3 არგენტინის ნაკრებთან. 1986 წელს მსოფლიოს იდეალურ ნაკრებში შეიყვანეს გერმანელი მცველი კარლ-ჰაინც ფიორსტერი. შემდეგ კი, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, გფრ-ის ნაკრებმა 1990 წელს იტალიაში მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა, 1994 წელს აშშ-ში მხოლოდ მეოთხედფინალამდე მიაღწია.

აშშ-ში „ჩავარდნის" შემდეგ გფრ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ბერტი ფოგთსის ავტორიტეტი, შეიძლება ითქვას, ნულს უდრიდა. ზოგი კომენტატორი მას „ხალხის №1 მტერსაც" კი უწოდებდა. მაშ რამ იხსნა ეს ახალგაზრდა სპეციალისტი? ერთი მხრივ, ძველთაძველმა გერმანულმა ტრადიციამ, რომლის ძალითაც ნაკრების მწვრთნელს კონტრაქტის გასვლამდე არასოდეს ათავისუფლებენ. ფოგთსამდე ხომ ამ ნაკრებს სულ 5 ხელმძღვანელი ჰყავდა: ოტო ნერცი, სახელგანთქმული ზეპ ჰერბერგერი, ჰელმუტ შიონი, იუპ დერვალი და ფრანც ბეკენბაუერი. მეორე მხრივ კი ფოგთსს მხარდაჭერა გამოუცხადეს გერმანიის ფეხბურთელთა კავშირის პრეზიდენტმა ეგიდიუს ბრაუნმა და შეუვალი ავტორიტეტის მქონე ფრანც ბეკენბაუერმა. ერთი სიტყვით, გადარჩა...

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადჰყო, რომ სწორი აღმოჩნდნენ ისინი, ვინც ფოგთსს სრული ნდობა გამოუცხადა. იგი მართლაც უდიდესი მონდომებითა და ენერგიით მუშაობდა. მას შემდეგ, რაც 1996 წელს გერმანელებმა ინგლისში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეს, „ხალხის №1 მტერი" უკვე „მსოფლიოს №1 მწვრთნელად" იქცა.


თომას ჰელმერი

აქ კი სჯობს მკითხველს რამდენიმე სიტყვით გავახსენოთ გერმანელი ბუნდესტრენერის ბიოგრაფია. იგი 1946 წლის 30 დეკემბერს დაიბადა. ჰუბერტ (ბერტი) ფოგთსი მთელი 14 წლის მანძილზე დორტმუნდის „ბორუსიაში" (რაც ლათინურ ენაზე „პრუსიას" ნიშნავს) თამაშობდა, 5-ჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, ერთხელ მოიპოვა ქვეყნის თასი, ორჯერ – უეფას თასი. გფრ-ის ნაკრებში 96 მატჩი ჩაატარა, ამ მხრივ ჩამორჩება მხოლოდ ლოთარ მათეუსს, ფრანც ბეკენბაუერსა და იურგენ კლინსმანს. ითვლებოდა ევროპის საუკეთესო მარჯვენა მცველად. 1974 წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება. 1979 წელს, მას შემდეგ, რაც მოთამაშის კარიერა დაასრულა, სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებს. 1984 წელს 16-წლიანთა ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა, 1987 წელს ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩამდე მიიყვანა. 1990 წელს, მას შემდეგ, რაც ბეკენბაუერმა მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, ნაკრებთან კონტრაქტი აღარ გააგრძელა, იგი ბერტი ფოგთსმა შეცვალა. საინტერესოა, რომ ესოდენ ბრწყინვალე სპორტული კარიერის ფეხბურთელი მაინც არ შეიყვანეს გერმანიის ყველა დროის ნაკრებში, რომელიც ასე გამოიყურება: მაიერი, ბეკენბაუერი, კ.ჰ. ფიორსტერი, ბრიგელი, ჰესლერი, ბრაიტნერი, მათეუსი, უ. ჰიონესი, ნეცერი, გ. მიულერი, რუმენიგე.

როგორ წარმართა გერმანიის ნაკრებმა მსოფლიო პირველობაზე შესარჩევი თამაშები? იგი მეცხრე ევროპულ ჯგუფში აღმოჩნდა უკრაინის, პორტუგალიის, ჩრდ. ირლანდიის, სომხეთისა და ალბანეთის გუნდებთან ერთად. დასაწყისში ითვლებოდა, რომ გერმანელები ფინალში უმტკივნეულოდ გავიდოდნენ. სინამდვილეში კი ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ ექსპერტები ჯეროვნად არ აფასებდნენ უკრაინის ნაკრებს, და, ამასთან ერთად, ყველა დანარჩენიც მეტნაკლებად სახიფათო აღმოჩნდა.

აი გერმანელების მიერ ჩატარებული ყველა შესარჩევი მატჩი. სომხეთი – გერმანია – 1-5 (მიქაელიანი; ჰესლერი (2), კლინსმანი, ბობიჩი, კუნცი). გერმანია – ჩრდ. ირლანდია 1-1 (მიოლერი; ტაგარტი). პორტუგალია – გერმანია – 0-0, ალბანეთი – გერმანია – 2-3 (კოლა – 2; კირსტენი – 3), გერმანია – უკრაინა – 2-0 (ბირჰოფი, ბასლერი), უკრაინა – გერმანია – 0-0, ჩრდ. ირლანდია – გერმანია – 1-3 (ჰიუზი; ბირჰოფი – 3), გერმანია – პორტუგალია – 1-1 (კირსტენი; პედრუ ბარბოზა), გერმანია – სომხეთი – 4-0 (კლინსმანი – 2, ჰესლერი, კირსტენი), გერმანია – ალბანეთი – 4-3 (ჰელმერი, ბირჰოფი – 2, მარშალი; კოლერი – საკუთარ კარში, ტარე, ვატა).

მკითხველი, რა თქმა უნდა, ყურადღებას მიაქცევს იმ ამბავს, თუ როგორი გაჭირვებით ითამაშა გერმანიის ნაკრებმა თავის ტრადიციულად ძნელ (!) მეტოქესთან – ალბანეთის გუნდთან. თუკი მეორე მატჩი ფრედ დასრულდებოდა, თამაშის დამთავრებამდე კი სულ რაღაც ორი წუთი იყო დარჩენილი, მაშინ გერმანელები მეორე ადგილზე გამოდიოდნენ უკრაინელების შემდეგ და ფინალში გასასვლელად დამატებითი შეხვედრების ჩატარება მოუწევდათ. ბერტი ფოგთსმა შეხვედრის შემდეგ თქვა: „ჩემმა მოთამაშეებმა თითქოს დაივიწყეს, რომ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე გამოდიოდნენ. მე მათთან უამრავი შეკითხვა მაქვს". და მართლაც, ყველა მათგანის თამაშს გამანადგურებელი შეფასება მისცა.

ასე იყო თუ ისე, გერმანელები ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ. მათ 22 ქულა მოაგროვეს (6 მოგება, 4 ფრე, ბურთები 23-9) და ორი ქულით გაასწრეს უკრაინელებს. ეს მწვრთნელის რიგით უკვე მეორე წარმატება იყო ევროპის ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ, თუმცა თვითდამშვიდების საშუალება ნამდვილად არა ჰქონდა: „მე მესმის, რომ თამაში უნდა გავაუმჯობესოთ, საჭიროა სრულყოფა როგორც ტაქტიკური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. ამა თუ იმ პოზიციაზე საიმედო მოთამაშეების შერჩევა გვმართებს. ეს უპირველეს ყოვლისა, თავდასხმას ეხება. თუმცა პრეტენზიები შეიძლება ყველა ფეხბურთელს წავუყენოთ. არც ერთ მათგანს არ გამოუყენებია შესარჩევ ტურნირში თავისი შესაძლებლობების ასი პროცენტი". რა თქმა უნდა, ფოგთსს, რომელმაც ალბანელებთან მეორე შეხვედრაში ნამდვილი შოკი მიიღო, უნდა გავუგოთ კიდეც. გერმანელი კომენტატორებიც სავსებით ეთანხმებიან მას და ფიქრობენ, რომ ნაკრებს პრობლემები საკმაოდ აქვს.


ფრედი ბობიჩი

ეს ნაკლებად ეხება მეკარეებს (თუმცა, აქაც გასარკვევია, ვინ უფრო ძლიერია, ანდრეას კეპკე თუ ოლივერ კანი), აი დაცვა კი, რომელიც საკმაოდ ხანდაზმული მოთამაშეებისაგან შედგება, სერიოზული შეცდომებით თამაშობს და ეს ეხება იურგენ კოლერს, შტეფან როიტერს და სახელგანთქმულ მათიას ზამერს. ისე კი, საკმაოდ ბუნდოვანია, ითამაშებს კი მსოფლიო პირველობაზე ზამერი ამდენი ტრავმის შემდეგ. გაცილებით უკეთესი მდგომარეობაა შუა ხაზზე. აქ მწვრთნელს ჰყავს ისეთი შესანიშნავი ოსტატები, როგორებიც არიან თომას ჰესლერი, ანდრეას მიოლერი, კრისტიან ციგე, მეჰმედ შოლი, მარიო ბასლერი. შეიძლება სხვა კანდიდატურების დასახელებაც. ნახევარდაცვაში დაკარგა ადგილი დიტერ აილტსმა, რომელიც გულშემატკივრებს დაამახსოვრდათ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ.

აი, თავდასხმაში კი საქმე მთლად კარგად არ არის. წამყვანმა ფორვარდმა იურგენ კლინსმანმა სხვადასხვა მიზეზების გამო ძალიან უკლო. სეზონის დასაწყისში იგი მიუნხენის „ბაიერნში" გამოდიოდა, შემდეგ დიდი აყალმაყალი მოუვიდა გუნდის კაპიტან მათეუსთან და იტალიაში, გენუის „სამპდორიაში" გადავიდა. აქაც არაფერი გამოუვიდა და მცირე ხნის შემდეგ უკვე ინგლისში, „ტოტენჰემ ჰოტსპურში" აღმოჩნდა. ინგლისში მის სანახავად ჩასულმა ბერტი ფოგთსმა კი განაცხადა, კვლავინდებურად კლინსმანის იმედი მაქვს და იგი საფრანგეთში ნაკრების კაპიტანი იქნებაო, მაგრამ კომენტატორებს ვეტერანის თამაში აშკარად არ მოსწონთ. რა თქმა უნდა, თუ კლინსმანმა თამაში არ გააუმჯობესა, ეს ნაკრებისათვის დიდი დანაკლისი იქნება, მაგრამ მიმომხილველები აღნიშნავენ ოლივერ ბირჰოფისა და ულფ კირსტენის კარგ ფორმას, ნაკრებს ჰყავს ისეთი შედეგიანი თავდამსხმელიც, როგორიცაა ფრედი ბობიჩი. არ არის გამორიცხული საფრანგეთში სხვა ფორვარდების წაყვანაც.

გერმანიის ნაკრები წილისყრის შედეგად შედარებით იოლ F ჯგუფში მოხვდა. კომენტატორებს გამორიცხულად მიაჩნიათ, რომ გერმანიისა და იუგოსლავიის გუნდები მერვედფინალში ვერ გავიდნენ. მხარეებს მოვუსმინოთ:

**ბერტი ფოგთსი:** ჩვენ კარგად ვიცით, რომ იუგოსლავიისა და აშშ-ს ნაკრებები ძლიერი გუნდებია. კარგად ვიცით მათი თამაშის ძლიერი და სუსტი მხარეებიც. არც ის გვავიწყდება, რომ ირანის ნაკრების სამი მოთამაშე ბუნდესლიგაში გამოდის, რაც მათ ძალიან კარგად ახასიათებს.

**სტივ სამპსონი (აშშ-ის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** მსოფლიოს უძლიერესი ნაკრებების ფონზე, ჩვენ ხომ ნათლად ვნახავთ, სინამდვილეში რას წარმოადგენს ჩვენი გუნდი. გერმანელებსა და იუგოსლავიელებს დიდ პატივს ვცემთ. ჩვენ, ცხადია, ძნელ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ეს ხომ მაინც ის „სიკვდილის ჯგუფი" არ არის, როგორც, ვთქვათ, D. გარდა ამისა, კალენდარიც კარგი გვაქვს. ჯერ გერმანელებს ვხვდებით, სადაც შევეცდებით ქულა ავიღოთ, შემდეგ ირანელები უნდა დავამარცხოთ, და, ბოლოს, ყველაფერი იუგოსლავიელებთან შეხვედრაში გადაწყდება.

დარიუს მოსტაფავი (ირანის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი): მე ბედნიერი ვარ! გერმანელებთან, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო სახელოვან გუნდთან შეხვედრა დიდი პატივია. მე ვფიქრობ, შევძლებთ აშშ-ს ნაკრების დამარცხებას, ისინი ხომ ჩვენზე უფრო ძლიერები არ არიან.

**სლობოდან სანტრაჩი (იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი):** გერმანელებთან ერთად პირველ ეტაპს კი დავძლევთ, მაგრამ რა მოხდება შემდეგ...

რა მოხდება შემდეგ, რა თქმა უნდა, არავინ იცის. ის კი ცნობილია, რომ გერმანელებმა მსოფლიო ჩემპიონატ[illegible]ალო მზადება 15 ნოემბერს დაიწყეს. ამ დღეს ისინი საკუთარ მინდორზე ექსპერიმენტალური შემადგენლობით შეხვდნენ სამხრეთ აფრიკის ნაკრებს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3-0. გოლები გაიტანეს ჰამანმა, ბირჰოფმა და ჰაინრიხმა. შემდეგ გერმანელებმა იმოგზაურეს არაბეთის ქვეყნებში. ჯერ იყო და დაამარცხეს ომანის ნაკრები – 2-0 (გოლები გაიტანეს კოლერმა და ჰაინრიხმა), შემდეგ კი საუდის არაბეთის ნაკრებიც – 3-0 (მიოლერი, ჰელმერი, მარშალი). ამ ტურნეში კლინსმანი არ მონაწილეობდა, მაგრამ ბევრ გამოცდილ ოსტატთან ერთად ბერტი ფოგთსმა ახალგაზრდების მთელი ჯგუფიც წაიყვანა (სულ ახლახანს ფოგთსის გუნდმა შტუტგარტში ბრაზილიელებთან 1-2). შემდეგი ამხანაგური შეხვედრების განრიგი ასეთია: ნიგერიასთან – 22 აპრილს, ფინეთთან – 27 მაისს, კოლუმბიასთან – 30 მაისს, ლუქსემბურგთან – 4 ივნისს.

**გივი თორელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბლატერიც სკამისათვის ბრძოლაში ჩაერთო



როგორც იქნა, ათასნაირი მითქმა-მოთქმას ბოლო მოუღო ფიფას გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა — მან ოფიციალურად წარადგინა თავისი თავი პრეზიდენტობის კანდიდატად. ეს ამბავი რომ შეიტყო, ფიფას ამჟამინდელი პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი მიესალმა მის ამ ნაბიჯს: „გულწრფელად მიხარია, რომ ბლატერმა როგორც იქნა გაბედა. ფიფა დემოკრატიული ორგანიზაციაა და ჩვენ ამჟამად პრეზიდენტობის ორი კანდიდატი გვყავს, შეიძლება მესამეც გამოჩნდეს 7 აპრილამდე“.

დიახ, სწორედ 7 აპრილს იწურება ფიფას პრეზიდენტობაზე კანდიდატურების წარდგენის ვადა. ბლატერმა, რომელიც 1981 წლიდანაა ფიფას გენერალური მდივანი, განაცხადა: „მე ფეხბურთის მსახური ვარ და შევეცდები მომავალშიც ვემსახურო ფეხბურთს ისე კარგად, როგორც შემიძლია“.

იტყობინებიან, რომ ბლატერის კანდიდატურა სამი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ წარადგინა: აშშ-მ, ავსტრალიამ, ტრინიდადი და ტობაგომ.

ბლატერის გადაწყვეტილებით აღფრთოვანებულმა მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მიშელ პლატინიმ ორშაბათს პრეტენდენტთან ერთად ჩატარებულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „იოზეფი დიდი პიროვნებაა, ერუდირებული, ნამდვილი პროფესიონალი. აველანჟის თანამდებობისთვის იგი ზედგამოჭრილია. ბლატერის ხელმძღვანელობით ფეხბურთის განვითარება უფრო დაჩქარდება“.

უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ბლატერის მთავარი კონკურენტი, შვედი ლენარტ იუჰანსონი შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით ამ დღეებში სპეციალური პრესკონფერენციის ჩატარებას გეგმავს.

# ბარტეზი ახლა ძირითადშია...

**ფაბიენ ბარტეზი კარგა ხანს საფრანგეთის ნაკრების ძირითადი მეკარის ბერნარ ლამას შემცვლელად ითვლებოდა. ახლა მან მოახერხა ვეტერანის შევიწროება და მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება. ბარტეზი (დაიბ. 1971 წლის 28 ივნისს) 183 სმ სიმაღლისაა, 76 კგ იწონის. თამაშობდა „ტულუზაში (1991-92), მარსელის „ოლიმპიკში“ (1992-95), 1995 წლის ზაფხულიდან „მონაკოში“ გამოდის. 1993 წელს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს დაეუფლა, შარშან კი საფრანგეთის ჩემპიონი გახდა.**

გთავაზობთ რამდენიმე ნაწყვეტს ფაბიენ ბარტეზის უკანასკნელი ინტერვიუდან, რომელიც "L'Equipe"-ში გამოქვეყნდა.



ფაბიენ ბარტეზი

● ***ფაბიენ, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ სეზონში თქვენი როლი „მონაკოში“ ძალიან გაიზარდა.***

— სავსებით ბუნებრივია. მე ასაკი მემატება, „მონაკოში“ ჩემს მიერ გატარებული დრო კი იზრდება.

● ***ჟან ტიგანასთვის (მონაკოს მწვრთნელია) თქვენ დამხმარე ხართ ახალგაზრდებთან მუშაობაში?***

— იგი ხშირად გვთხოვს მე და ლიბერო ფრანკ დიუმას დავეხმაროთ ვარჯიშის დროს.

● ***ზოგი რამ ჩემპიონთა ლიგაზე. ყველა ფრანგული კლუბი, რომელიც ევროპულ ტურნირებში მონაწილეობდა, ჩემპიონატში დიდ სიძნელეებს აწყდებოდა. ეს „მონაკოზე“ არ ითქმის. რატომ?***

— ჩვენი ძალა სწორედ ისაა, რომ შეგვიძლია როლების განაწილება. ასეთი თამაშის რიტმი: ჩემპიონატი — ჩემპიონების ლიგა სავსებით გვაძლევდა ხელს.

● ***შეიძლება საქმე თქვენს თავისებურ, სხვებისაგან განსხვავებულ ფიზიკურ მომზადებაშია?***

— ძნელი სათქმელია. მე ხომ არ ვიცი, როგორია ათლეტური მომზადება სხვა გუნდებში. ის კი ცხადია, რომ „მონაკოს“ შტაბი ტიგანას ხელმძღვანელობით ძალიან კარგად მუშაობს, ფიზიკური დატვირთვები ზუსტად არის დოზირებული, რაც გუნდს საშუალებას აძლევს სათამაშო ტონუსი მთელი სეზონის მანძილზე შეინარჩუნოს.

● ***არსებობს თუ არა თქვენთან იმ ტურნირების იერარქია, რომელშიც თქვენ მონაწილეობთ?***

— არსებობს ერთი რამ: უპირატესობა საფრანგეთის ჩემპიონატს უნდა მიენიჭოს. ახლა ყველა ჩვენი მოთამაშე ერთ რამეზე ოცნებობს — ზედიზედ მეორედ გახდეს საფრანგეთის ჩემპიონი. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჩემპიონთა ლიგის თამაშებს არასერიოზულად ვეკიდებით. სულაც არ ნიშნავს, რომ აუტსაიდერის როლის თამაში გვინდა ნახევარფინალისტთა შორის.

● ***ერთი სიტყვით, მთავარი თქვენთვის საფრანგეთის ჩემპიონატია. რა გრძნობა დაგეუფლათ შარშანდელი გამარჯვების შემდეგ?***

— შეიძლება ეიფორია არა ყოფილა, მაგრამ ჩემთვის ეს გამარჯვება ძალზე მნიშვნელოვანი იყო. მე მაგონდება პირველ სეზონში, როცა „მონაკოში“ ჩავირიცხე, მატჩების ნახევარშიც კი არ მითამაშია. ოთხი თვე დაშავებული ვიყავი. მე მაშინ ვგრძნობდი, რომ გუნდის ვალი მქონდა. შარშანდელ მაისში პირველად ვიგრძენი, რომ ვალი მოვიხადე.

● ***თქვენ უკვე მესამე წელია „მონაკოში“ თამაშობთ. შეეჩვიეთ თუ არა იმ ამბავს, რომ საშინაო მატჩების დროს ტრიბუნები თითქმის ცარიელია?***

— მთლიანად არა. გასაგებია, როცა გამოდიხარ მატჩზე, რომელსაც 40 ათასი მაყურებელი ესწრება, მაშინ ნაკლებად გჭირდება დამატებითი ფსიქოლოგიური მოტივაცია. ისე კი, გულახდილად გეტყვით, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი კაცი ადევნებს თვალყურს შეხვედრას. მე უკვე ვისწავლე მთელი ყურადღების თამაშზე, და მხოლოდ თამაშზე კონცენტრირება.

● ***წამყვანი ფრანგი ფეხბურთელების უმეტესობა ახლა საზღვარგარეთის კლუბებში გამოდის. როცა ნაკრებში იყრით თავს, არა გრძნობთ, რომ გაკლიათ გამოცდილება, რომელიც თქვენს ბევრ პარტნიორს აქვს?***

— ამ საკითხს ორი მხრიდან უნდა მივუდგეთ. მე რომ უცხოეთის რომელიმე კლუბში გამოვდიოდე, შეიძლება ჩემი თამაშის კლასის ამაღლებისათვის კიდევაც სჯობდეს. მაგრამ მე ახლა სულაც არ მინდა დავტოვო საფრანგეთი, გამოვემშვიდობო ტიგანას, ჩვენი გუნდის მეკარეების მთავარ მწვრთნელ ჟან-ლიუკ ეტორის. ამასთან, ჩემი კონტრაქტი „მონაკოსთან“ ძალაშია 2001 წლამდე. ისე რომ, ჯერჯერობით არსად ვაპირებ გადასვლას.

● ***ის, რომ ახლა მტკიცედ დაიკავეთ ნაკრების ძირითადი მეკარის ადგილი, ბევრს ნიშნავს თქვენთვის.***

— მე ასე არ ვიტყოდი. მე ამას მშვიდად შევხვდი. როცა გამომიძახებენ ნაკრებში, ვთამაშობ კიდეც. რა თქმა უნდა, მიხარია, რომ მსოფლიო პირველობაზე მომელის გამოსვლა, მაგრამ ეს ხომ ივნისშია, ახლა კი მე ძირითადად „მონაკოს“ მორიგ მატჩებზე ვფიქრობ.

# რამდენიმე კითხვა იური ჯორკაეფს

**ამას წინათ მოსკოვში მყოფ იური ჯორკაეფს, რომელიც რუსეთ-საფრანგეთის მატჩში მონაწილეობდა, რამდენიმე კითხვა დაუსვეს.**



იური ჯორკაეფი

● ***თქვენ ამბობდით, რომ არ გინდოდათ სომხეთის ნაკრებთან შეხვედრა, სადაც მწვრთნელად მამათქვენი მუშაობს. ხომ არ შეცვლილა თქვენი აზრი?***

— დიახ, შეიცვალა. სომხეთის ფეხბურთი ახლა არ არის მაინცდამაინც მაღალი დონისა, მას აშკარად სჭირდება რეკლამა. აი საფრანგეთში კი მას მაყურებელი ეყოლება, მაშინაც კი, იქნება თუ არა იქ ჯორკაეფის დუეტი. მით უმეტეს, თუ მანამდე სომხები წარმატებით ითამაშებენ რუსებსა და უკრაინელებთან. ასე რომ, საფრანგეთის ნაკრებთან შეხვედრა მამაჩემისთვის, როგორც მწვრთნელისთვის, გარკვეულ გამართლებად უნდა მივიჩნიოთ.

● ***მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებს დატოვებს ემე ჟაკე. ხომ არ გეშინიათ ამისა?***

— მე ძალიან დავალებული ვარ ემე ჟაკესაგან. სწორედ მან მიმიწვია პირველად საფრანგეთის ნაკრებში, ჩემსა და ზიდანისაგან წინწაწეული ნახევარმცველების წყვილი შექმნა. ზიდანის გარეშე კი, საერთოდ, მიჭირს ნაკრებში თამაში. საფრანგეთს ჰყავს მაღალი კლასის მოთამაშეების დიდი ჯგუფი. ხომ ძლიერ შესარჩევ ჯგუფში მოვხვდით ევროპის პირველობაზე (რუსეთი, უკრაინა, სომხეთი, ისლანდია, ანდორა), მაგრამ ფინალში მაინც უნდა გავიდეთ.

● ***მსოფლიო პირველობაზე რაღას აპირებთ?***

— ჩემპიონატი ხომ ჩვენს ქვეყანაში ტარდება, რაც შეიძლება უკეთ უნდა გამოვიდეთ, უფრო ზუსტად — ჩვენი ერთადერთი ამოცანა იქნება მსოფლიო ჩემპიონობის მოპოვება. ვფიქრობ, ძირითადი ბრძოლა ჩემპიონობისთვის ჩვენსა და ბრაზილიელებს შორის გაიმართება. თუმცა ჩვენთან, „ინტერში“, არ არის მიღებული შორეულ გეგმებზე დავა, უფრო უახლოეს მატჩებზე ვფიქრობთ. მე და რონალდო ხშირად წარმოვიდგენთ ხოლმე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს საფრანგეთსა და ბრაზილიას შორის მშვენიერ „სტად დე ფრანსზე“. რონალდო, ცხადია, ფიქრობს, რომ ოქროს მედლებს ბრაზილიაში წაიღებენ. მე არ ვეთანხმები — რა საჭიროა მათი ასე შორს წაღება, დაე, აქვე დატოვონ, საფრანგეთში.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ავსტრია – უნგრეთის „აღდგენა“

**ავსტრია — უნგრეთის ოდესღაც დაშლილი იმპერიის აღდგენას როდი ვგულისხმობთ. ლაპარაკია ავსტრიისა და უნგრეთის ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივ ცდაზე 2004 წელს ჩაატარონ ევროპის პირველობა, ისევე, როგორც ამას მათზე ადრე ჰოლანდიელები და ბელგიელები გააკეთებენ.**

**როგორც ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბეპო ბაუჭარტმა აღნიშნა, მან უკვე მიიღო თავისი ქვეყნის მთავრობის თანხმობა. ავსტრიაში მოხდება ძველი სტადიონების რეკონსტრუქცია, აშენდება ახლებიც.**

**ჩემპიონატის მთავარი სპონსორი იქნება კონცერნი „აუსტრიან ოილი“.**

**ავსტრიელებსა და უნგრელებს კონკურენტიც ჰყავთ — იგივე ჩემპიონატის ჩატარება შვეიცარიასაც სურს.**

## პენევი პირველ ადგილზე გადავიდა

ამას წინათ ლიუბოსლავ პენევმა, ბულგარეთის ნაკრების თავდამსხმელმა, რომელიც „კომპოსტელაში“ თამაშობს, ესპანეთის პირველობის მატჩზე ერთი ბურთი გაიტანა. დიახ, მაგრამ განა აქვს ამას რაიმე მნიშვნელობა? თურმე, ჰქონია. ეს იყო მისი 112-ე გოლი, გატანილი ესპანეთის პირველობაზე. ამით „ლიუბო“ გადავიდა პირველ ადგილზე იმ სნაიპერთა შორის, რომლებიც დღეს უმაღლეს დივიზიონში გამოდიან. ერთი გოლით ნაკლები კი — 111 ბილბაოს „ატლეტიკის“ თავდამსხმელ ხოსე ანხელ სიგანდას აქვს.

## ახალი იერიში ტაპიზე

**პატიმრობაში მყოფ მარსელის „ოლიმპიკის“ ყოფილ პრეზიდენტ ბერნარ ტაპის შესაძლოა 4 წლით გაუხანგრძლივონ თავისუფლების აღკვეთა. ბრალმდებელმა ტაპის ახალი სამხილი აღმოუჩინა — კლუბის კუთვნილი თანხის, 20 მილიონი დოლარის უკანონოდ მითვისება. ასე რომ, ბერნარ ტაპის პროცესი გრძელდება.**

# კანჩელსკისი თბილისში ჩამოსვლას აღარ აპირებს

**რუსეთის საფეხბურთო ეროვნული ნაკრების 28 წლის ნახევარმცველ ანდრეი კანჩელსკისს „შერემეტიევოს“ აეროპორტში რუსეთ-საფრანგეთის საერთაშორისო ამხანაგური მატჩის შემდეგ გადავეყარე: სადაცაა მთავრდებოდა რომში მიმავალი თვითმფრინავის მგზავრთა რეგისტრაცია.**

● ***ანდრეი, რა ეროვნების ფეხბურთელს არ შეხვდებით რუსეთის ნაკრებში: უკრაინელი სერგეი იურანი, ქართველი ომარ თეთრაძე, თქვენ, მგონი, ბალტიისპირელი ბრძანდებით...***

— დიახ, წარმოშობით ლიტველი ვარ, უკრაინაში დავიბადე და გავიზარდე, მოქალაქეობა კი რუსეთისა მაქვს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სულით რუსი ვარ, ბევრი რამე, რომელიც ამ ერს ახასიათებს, ჩემთვის მიუღებელია. და მაინც, ჩემი ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთის საფეხბურთო კავშირის მესვეურებთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტე მიმეღო ამ ქვეყნის მოქალაქეობა. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა სერგეი იურანი, უფრო ადრე — ომარ თეთრაძე და ახრიკ ცვეიბა და, ვფიქრობ, ისინი კმაყოფილები არიან — საფეხბურთო კავშირმა მათ შეპირებული მოთხოვნები შეუსრულა.

● ***არის სხვა მაგალითიც — კახი ცხადაძე: რამდენიც არ უტრიალეს მას რუსეთის საფეხბურთო კავშირის ჩინოსნებმა, მოქალაქეობა არ შეუცვლია და საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავს. შეიძლება მან ამით მატერიალურად ბევრი წააგო, მაგრამ ხომ არ არის მედლის, ასე ვთქვათ, მეორე მხარე — მორალური?***

— იცით რა არის, ჩემთვის სამშობლო ის მხარეა, სადაც ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის საუკეთესო პირობებია შექმნილი. მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, უკრაინელებს „შეებათ ჩემთვის ეუვანი“ და მეთამაშა იქაურ ნაკრებში. განა მოვხვდებოდი ასეთ შემთხვევაში ჯერ ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედში“, შემდეგ „ევერტონში“, მერე კი იტალიის „ფიორენტინაში“? ვიმეორებ, სამშობლო ჩემთვის იქაა, სადაც უკეთ ვგრძნობ თავს.



ანდრეი კანჩელსკისი

● ***საკამათო მოსაზრებაა, თუმცა თქვენ პირველ პლანზე მატერიალურ მხარეს აყენებთ. დღესდღეობით რუსეთის ეროვნული ნაკრების ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ბრძანდებით, თუ საიდუმლო არაა, რამდენია თქვენი შემოსავალი „ფიორენტინაში“ და ნაკრებში?***

— (იცინის) ყველაფერი საშემოსავლო დეკლარაციაში მიწერია. თქვენ რა, რეკეტს ხომ არ მიპირებთ? ისე, სერიოზულად რომ გითხრათ, რუსეთის ეროვნულ ნაკრებში ამ მხრივ დაძაბული სიტუაციაა: გვიხდიან მხოლოდ სამივლინებო თანხებს, პრემიალურები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვეცემა, თუ ძირითად ამოცანას გადავწყვიტავთ — გავალთ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში. რუსეთის საფეხბურთო კავშირის ამ გადაწყვეტილებამ ბევრ ფეხბურთელში უკმაყოფილება დაბადა. ზოგმა ისიც თქვა, ნაკრებში აღარ ვითამაშებთო.

● ***მათ შორის თქვენც ხომ არა ხართ?***

— დიახ, ბორის იგნატიევს ვთხოვე, გუნდში აღარ გამომიძახოს. მინდა მთელი ენერგია „ფიორენტინას“ შევალიო. ვითამაშებ იქ, სადაც გასამრჯელოს გადამიხდიან. გუშინდელი ბავშვი აღარა ვარ და მომავალზე უნდა ვიფიქრო.

● ***ესე იგი, 30 მაისს, თბილისში საქართველო — რუსეთის ამხანაგურ მატჩში ვეღარ გიხილავთ?***

— ასე გამოდის. მინდა საქართველოს ნაკრებს წარმატებითი გამოსვლა ვუსურვო ევრო-2000-ზე, მით უმეტეს, ჩვენთან შედარებით იოლ შესარჩევ ჯგუფში მოხვდით.

ესაუბრა არკადი სმირნოვი,
მოსკოვი,
სპეციალურად „ლელოსთვის“



ყოველწლიურად ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „კავკასიონის“ თაოსნობით 15 წლის მოზარდთა გუნდებს შორის ტარდება აფხაზეთში გმირულად დაღუპული ფეხბურთელის ზაზა როსტიაშვილის სახელობის თასის გათამაშება. წელს ამ ასპარეზობაში 15 გუნდი გამოდიოდა. ფინალური მატჩი „კავკასიონსა“ და „მართვე-83“-ს შორის ძალიან დაძაბულად წარიმართა. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ 1-1. პენალტების სერიაში დამაჯერებლად გაიმარჯვა „მართვე-83“-მა. ამავე გუნდის მეკარეს არჩილ გიორგობიანს, გამთამაშებელს გივი ჭაფოძეს და მოთამაშეებს დავით ნოწონავას და დავით დვარელს გადაეცათ ტურნირის რჩეულ ფეხბურთელთა პრიზები. გამარჯვებულთა სიხარული გაიზიარეს მეათე საშუალო სკოლის პედაგოგებმაც (დირექტორი ელისო ანჯაფარიძე, დამრიგებელი ვალიდა მამასახლისი), სადაც ნორჩი ფეხბურთელი სწავლობენ.

*სურათზე: მართვე-83 – ზაზა როსტიაშვილის თასის მფლობელი. სხედან (მარცხნიდან) – ა. მიჭელაშვილი, ლ. ოდიკაძე, ნ. ხაჯალია, დ. ნოწონავა, ი. სიჭინავა, შ. მაჩიტაძე, გ. დუმბაძე. დგანან – დ. კაციტაძე (მწვრთნელი), ა. გიორგობიანი, თ. თოდრია, ზ.ელბაქიძე, ი. ფანცულაია, კ. დიმიტრიშვილი, გ. ჭაფოძე, გ. ოქროშიაშვილი, დ. დგვარელი, თ. ბიბილაშვილი (მწვრთნელი).*

# ნბა: რეკორდი ატლანტაში დაფიქსირდა

მაშ ასე, ნბა-ს ისტორიაში რეკორდი დაფიქსირდა – „ატლანტასა“ და „ჩიკაგოს“ თამაშს 62.046 გულშემატკივარი დაესწრო. ეს ამბავი „ჯორჯია დომის“ დარბაზში მოხდა. უცხოეთის საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, 8 ათასი ადგილი, რომელიც დამატებით გაყიდეს მატჩის ორგანიზატორებმა, ისეთ ადგილას იყო, რომ მოედანი არც კი ჩანდა. არადა, ისინი მაიკლ ჯორდანის მორიგ შოუს დააკლდნენ – ვარსკვლავმა 34 ქულა დააგროვა, „ჩიკაგომ“ კი შეხვედრა მოიგო ანგარიშით 89:74.

მატჩის შემდეგ „ხარების“ ლიდერმა თქვა: „აქაური გულშემატკივრები ყოველთვის პატივს მცემდნენ და ამიტომ განსაკუთრებული აღფრთოვანებით ვთამაშობ ატლანტაში.“

გასულ უქმეებზე კიდევ ერთი საინტერესო მატჩი ჩატარდა: „ინდიანამ“ „შარლოტა“ მიიღო და კარგა გვარიანადაც იჩხუბა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. განსაკუთრებულად იმუშტიკრივა მასპინძელთა ვარსკვლავმა რეჯი მილერმა, რომელიც მშვენივრად მოთამაშე რიკ სმითს გამოესარჩლა და რამდენიმე შარლოტელი კალათბურთელი ღრმა ნოკდაუნში გაუშვა. საერთოდ, მატჩშიც „ინდიანამ“ იმარჯვა – 133:96.

***სხვა მატჩები:*** ბოსტონი – ნიუ-ჯერსი 82:76, დეტროიტი – კლივლენდი 87:88, სან-ანტონიო – ფილადელფია 110:85, მილუოკი – მაიამი 77:102, ჰიუსტონი – ორლანდო 75:100, იუტა – დალასი 99:90, ვაშინგტონი – ფენიქსი 85:89, გოლდენ სტეიტი – დენვერი 89:97, ნიუ-იორკი – ვანკუვერი 97:89, პორტლენდი – საკრამენტო 90:73, მინესოტა – კლიპერსი 100:89.

**ატლანტიკის დივიზიონი**

| | მ. | წ. |
|---|---|---|
| **მაიამი** | **50** | **21** |
| ნიუ-იოკი | 40 | 31 |
| ნიუ-ჯერსი | 36 | 35 |
| ორლანდო | 36 | 35 |
| ვაშინგტონი | 36 | 35 |
| ბოსტონი | 31 | 39 |
| ფილადელფია | 25 | 45 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | |
|---|---|---|
| **ჩიკაგო** | **54** | **17** |
| **ინდიანა** | **49** | **21** |
| შარლოტა | 45 | 25 |
| ატლანტა | 41 | 28 |
| კლივლენდი | 39 | 31 |
| დეტროიტი | 34 | 37 |
| მილუოკი | 30 | 40 |
| ტორონტო | 15 | 54 |

**შუა-დასავლეთი დივიზიონი**

| | | |
|---|---|---|
| **იუტა** | **52** | **17** |
| **სან-ანტონიო** | **48** | **23** |
| **ჰიუსტონი** | **37** | **33** |
| **მინესოტა** | **37** | **34** |
| დალასი | 18 | 53 |
| ვანკუვერი | 16 | 54 |
| დენვერი | 9 | 63 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | |
|---|---|---|
| **სიეტლი** | **52** | **18** |
| **ლეიკერსი** | **50** | **19** |
| **ფენიქსი** | **46** | **25** |
| **პორტლენდი** | **39** | **31** |
| საკრამენტო | 26 | 46 |
| კლიპერსი | 15 | 55 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 56 |

*შენიშვნა: გამოყოფილია პლეი-ოფში უკვე გასული გუნდები*

# ფორმულა-1: ბრაზილიაში ავსტრალია განმეორდა

*ერთი თვის წინათ ავსტრალიური ეტაპი ფინელი მიკა ჰაკინენისა და „მაკლარენის“ ტრიუმფით დასრულდა. იგივე განმეორდა ბრაზილიაშიც – წინასაშეჯიბრო ვარჯიშებზე, საკვალიფიკაციო რბოლაშიც და ძირითად შეჯიბრშიც, მიუხედავად იმისა, რომ ავტომრბოლთა საერთაშორისო ფედერაციამ მეტოქეთა პროტესტის შემდეგ „მაკლარენის“ ბოლიდებზე მუხრუჭის სისტემა შეაცვლევინა, ლიდერთა უპირატესობა აშკარა იყო. პირად ჩათვლაში ჰაკინენის და კულჰარდის შემდეგ მესამე იყო სახელგანთქმული მიხაელ შუმახერი.*

# საბრძოლოდ განწყობილი გარი კასპაროვი

***გერმანელმა ჟურნალისტმა ჰარტმუტ მეცმა რამდენიმე კითხვით მიმართა მსოფლიო ჩემპიონ გარი კასპაროვს***

• ***რა განსხვავებაა იმ პროფესიონალურ საჭადრაკო ორგანიზაციასა, თქვენ რომ უდგეხართ სათავეში, და ფიდეს შორის?***

— მათი შედარება არც კი შეიძლება. ჩვენ კომერციული ორგანიზაცია შევქმენით, და პროფესიონალებთან ვმუშაობთ. თუმცა, არავითარი მოგება არ გვაქვს და ეს არც არის ჩვენი მიზანი. კეთილი საქმეების გაკეთება გვინდა, ჩვენი ორგანიზაციის გარეშე საჭადრაკო სამყარო ბევრს დაკარგავდა.

• ***ბევრი დიდოსტატი ჩივის, რომ თქვენ მხოლოდ ელიტისათვის ზრუნავთ.***

— რატომ ელიტისათვის? ჩვენ ვპოულობთ სპონსორებს და ვაწყობთ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებს. ფიდე პოლიტიკური ორგანიზაციაა, ჩვენ კი კომერციული.

• ***მოეწყობა მატჩი ორ მსოფლიო ჩემპიონს შორის?***

— არავითარი ორი მსოფლიო ჩემპიონი არ არსებობს. არის ერთი მსოფლიო ჩემპიონი და მის გარდა ის, ვინც ფიდეს მიერ მოწყობილ პირველობაზე გაიმარჯვა.

• ***თქვენ უდავოდ მსოფლიოს №1 მოჭადრაკე ხართ.***

— ვფიქრობ, რომ საფუძველი არა მაქვს უახლოესი წლების მანძილზე ვინმეს ვუფრხოდე.

• ***ცალკეულ პარტიებში ვლადიმირ კრამნიკი თქვენთან წარმატებებს აღწევს. რაც შეეხება დიდ მატჩს...***

— დიდ მატჩებში მე უახლოეს ხანებში ყველას დავამარცხებ. რაც შეეხება ჩემს შესაძლებლობებს მომავალ საუკუნეში, ამაზე ლაპარაკი ახლა ნაადრევია. ჩემი პრობლემაა მქონდეს მოტივაცია და საბრძოლველად განვეწყო.

• ***კომპიუტერი ხომ არ შეგიქმნით მუქარას? თქვენ ერთხელ განაცხადეთ, რომ უკანასკნელი მსოფლიო ჩემპიონი ხართ... ადამიანთა შორის.***

— ჯერ დავაცადოთ, ვნახოთ როგორ ითამაშებს კომპიუტერი ჩვეულებრივ საერთაშორისო ტურნირებში... ადამიანთა შორის.

• ***თქვენ კარგა ხანია 30 წელს გადააბიჯეთ. რას იტყვით ამის შესახებ?***

— იმას, რომ ბევრ ტურნირში მე მართლაც ერთ-ერთი ვეტერანი ვარ. მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ეს გარემოება ჯერჯერობით ჩემს შედეგებს მაინც არ ეტყობა.

# მიხეილ გეგელია



გარდაიცვალა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, მიხეილ გეგელია.

დიდია მისი დამსახურება ქართული სპორტის, განსაკუთრებით მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის განვითარების საქმეში. 1952 წელს წარმატებით დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. იმავე წელს სრულიად ახალგაზრდა ინიშნება ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარედ. 1964 წელს კი აწინაურებენ — ქ. თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ გადაჰყავთ. აქ მან 1974 წლამდე იმუშავა. იმავე წლიდან ქ. თბილისის აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის სპორტული სკოლის დირექტორია, სადაც მან სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა. გაუზვიადებლად უნდა ითქვას, რომ მიხეილ გეგელიას ამ სკოლაში მოსვლით დაიწყო საქართველოს მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის აღორძინება. აქ სრულიად გამოვლინდა მისი მაღალი ერუდიცია და ორგანიზატორული ნიჭი — სკოლაში მომზადდა 11 მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი (2 მხატვრულ ტანვარჯიშში, 9 აკრობატიკაში), 50-ზე მეტი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. შემთხვევითი არ არის, რომ ამ სკოლას „გეგელიას სკოლას“ უწოდებენ. ეს სკოლა მოწინავე იყო მთელ საბჭოთა კავშირში, მოგვიანებით იგი განათლების სამინისტროს აკრობატიკის ოლიმპიური რეზერვების რესპუბლიკურ სკოლად გადაკეთდა. დიდია მ. გეგელიას წვლილი საქართველოს სპორტული სკოლების დებულებებისა და პროგრამების დამუშავებაში. იგი იყო უაღრესად განათლებული, კეთილი, ყურადღებიანი და გულისხმიერი ადამიანი, რისთვისაც სამართლიანად დაიმსახურა პატივისცემა და ავტორიტეტი სპორტსმენებსა და სპორტის მუშაკთა შორის. მისი დამსახურება და საქმისადმი ერთგულება მრავალჯერ აღინიშნა ჯილდოებით. უამრავი მეგობარი ჰყავდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. შესანიშნავმა მეოჯახემ საზოგადოებას აღუზარდა საუკეთესო შვილები და შვილიშვილები.

მ. გეგელიას ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულებში.

17 აპრილს 68 წელი შეუსრულდებოდა...

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი,
საქართველოს განათლების სამინისტრო,
საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია,
აკრობატიკის ოლიმპიური რეზერვების რესპუბლიკური სკოლა.

პანაშვიდი 2 და 3 IV. 16 სთ. დაკრძალვა 4 IV, 15 სთ. (ვაჟა-ფშაველას გამზირი III კვ. 24 კორპ.).

# «სპორტლოტოს» შედეგები

**29 მარტს გაიმართა ლატარია „სპორტლოტო 5-36“ — დან გათამაშების მე-13 ტირაჟი, დაშვებული იყო 4974 ვარიანტი. მოგებახვედრილი ციფრები: 11. 29. 10. 2. 17.**

5 ციფრი ვერავინ გამოიცნო; 4 ციფრის ამოცნობისათვის (1 ვარიანტი) 186.50 ლარი. 3 ციფრის ამოცნობისათვის (91 ვარიანტი) — 2.70 ლარი. მოგებები განაღდდება 1 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით.

მე-14 ტირაჟისათვის, რომელიც გაიმართება 5 აპრილს, „ჯეკ-პოტი“ შეადგენს 8644 ლარს, ამასთან, გამარჯვებულს ელოდება გერმანიაში მოგზაურობა,

**მოყვარულთა საყურადღებოდ!**

ახალი ლატარიის — „ტოტო-ლოტოს“ დანერგვასთან დაკავშირებით „სპორტლოტო 5-36-დან“ ტირაჟები შეწყდება 12 აპრილს, მე-15 ტირაჟის შემდეგ, მე-14 და მე-15 ტირაჟში „ბლიც-ლოტოს“ გათამაშება არ შედგება. გასული წლის 23-ე ტირაჟიდან აწლის მე-13 ტირაჟის ჩათვლით „ბლიც-ლოტოს მონაწილენი, მოწვეულნი იქნებიან ახალი ელექტრონულ-კომპიუტერული ლატარიის „ტოტო-ლოტო“-ს პრეზენტაციაში მონაწილეობისათვის: მსურველებს ვთხოვთ აწლის 10 აპრილამდე გატარდნენ რეგისტრაციაში სპორტის ეროვნულ ფონდში (ქ. თბილისი ქ. შარტავას №40, ტელ.: 38-90-74; 36-48-26.)

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დედაქალაქის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილის**

**მიხეილ გეგელიას**

**გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს განათლების სამინისტროს მხატვრული ტანვარჯიშისა და ბატუტზე ხტომის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი მუშაკი**

**მიხეილ გეგელია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**



25



2



13



29



41

# საფეხბურთო კროსვორდი



**თარაზულად:** 5. „კაიზერსლაუტერნის“ თავდამსხმელი, 6. 60-იანი წლების „ინტერის“ და ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი, 8. წარსულში „ლივერპულის“ თავდამსხმელი, 9. „მანჩესტერ იუნაიტედის“ და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი, 12. ყაიმი ფეხბურთში, 14. უახლოეს წარსულში პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელი, 15. 70-იანი წლების ჰოლანდიის ნაკრების კაპიტანი, 16. ლეგენდარული უნგრელი თავდამსხმელი, 17. ინგლისის ნაკრების ქირვეული ნახევარმცველი, 19. კოლუმბიის ნაკრების თავდამსხმელი, 21. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი იტალიელი ფეხბურთელი, 25. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველი *(ფოტო)*, 26. პორტუგალიის ნაკრების ფეხბურთელი, 31. ცნობილი გერმანელი მეკარე, 33. „მონაკოს“ ფეხბურთელი, 35. „მილანის“ ბრაზილიელი ფეხბურთელი, 36. „ტენერიფეს“ მწვრთნელი, 37. „ბაიერნის“ ფეხბურთელი, 38. „ჩელსის“ ლეგიონერი, 40. პსჟ-ს ბრაზილიელი ლეგიონერი, 42. წარსულში „ინტერის“ და იტალიის ნაკრების მცველი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი. 43. 60-იანი წლების „ბენფიკას“ და პორტუგალიის ნაკრების ტანმაღალი თავდამსხმელი, 44. „ნიუკასლის“ ჩრდილოირლანდიელი ლეგიონერი, 45. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი.

**შვეულად:** 1. 50-იანი წლების „მილანის“ შვედი ლეგიონერი, 2. „აიაქსის“ დანიელი ლეგიონერი *(ფოტო)*, 3. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 4. 60-იანი წლების უნგრეთის ნაკრების ფეხბურთელი, 7. საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი, 8. 80-იანი წლების „ნაპოლის“ და ბრაზილიის ნაკრების თავდამსხმელი, 10. სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყანა, 11. „ლაციოს“ თავდამსხმელი, 13. „ბორუსიას“ და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი *(ფოტო)*, 18. „ლაციოს“ ჩეხი ლეგიონერი, 20. „ინტერის“ არგენტინელი ლეგიონერი, 21. წარსულში ცნობილი გერმანელი მცველი, უთამაშია თბილისშიც, 22. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე აზიური ქვეყანა, 23. წარსულში ცნობილი რუმინელი თავდამსხმელი, 24. 1996 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი, 27. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ფეხბურთელი, 28. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 29. „კაიზერსლაუტერნის“ და ჩეხეთის ნაკრების მცველი *(ფოტო)*, 30. 80-იანი წლების ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი, 32. აშშ-ს ნაკრების თავდამსხმელი, 34. 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი არგენტინელი ფეხბურთელი, 35. 50-იანი წლების „მილანის“ და შვედეთის ნაკრების თავდამსხმელი, 39. „ჩელსის“ იტალიელი მწვრთნელი, 41. „მილანის“ ფრანგი ლეგიონერი *(ფოტო)*.

შეადგინა დიმა ჯიჯელავამ (თბილისი)

**წინა ნომრის კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 2. ოტი, 5. პოზიცია, 8. ექსტრიომი, 9. სერენა, 10. „მიოლდე“, 13. ობოლაძე, 15. ვეა, 17. ბრაინტი, 23. სანტუში, 24. ფიოლერი, 30. მაზინიო, 31-32. ვიჩგე, 33-34 სარმა, 35. პოლგარი, 39. არბიტრი, 40. მენსელი, 43. ნიგერია, 45. უშუ, 46. აურელიო, 49. ალემაო, 50. რასელი, 52. სოკრატესი, 53. აშვეთია, 54. გკს. **შვეულად:** 1. სტაიერი, 3. რობსონი, 4. შატორიუ, 6. თეთრაძე, 7. ციკლერი, 9. სელეში, 11. ელინიო, 12-27. ჰენტო, 14. ბოტვინიკი, 18. ტილკოვსკი, 19. მანიერო, 22. ბრიგელი, 25. რაი, 26. ფია, 28. ემე, 29. ურო, 36. ორტეგა, 37. კროშე, 38. გერენი, 41. მიხელსი, 42. ეუსებიო, 47. ფარკაში, 48. გაბელია, 51. პანენკა. **დიაგონალურად:** 15-27. ენდო, 17-27. ბაჯო, 20-32. ეივე, 33-21. სეტი, 33-42. ხოზე, 37-44. კენა, 37-46. კუკა, 41-32 მეფე.

# საჭადრაკო ამოცანა

ა. კოშეევი (რუსეთი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**

**1. eh5! — ცუგცვანგი,**
**1. ...მფ:h5 2. ლg4X, 1. ...კg7, 2. ლe8X, 1. ...კg5 2. ლh7X, 1. ...მ — 2. ლf5X.**

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. • „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე ხიდაშელი